დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლევან მადათოვი** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა ღაჭავა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მაია ქევხიშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკა სიმსივე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა წიკლაური უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ეკა ბარნაბიშვილი ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნინო მარღიშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

როლანდი ხოჯანაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინელი ცერცვაძე მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლია ნეფარიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232387672

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
იურიდიული მისამართი	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
ფაქტობრივი მისამართი	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
საფოსტო ინდექსი	2500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tiaAkhalsopeli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577616348

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 19 ივნისის №718079 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 27 და 28 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალსოფელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო		
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო		

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 19 ივნისის №718079 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 27 და 28 ივლისს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში (მისამართი: თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი) „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განხორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სკოლაში არსებულ საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით. ადგილზე მყოფი ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პასუხისმგებელ პირებს, პედაგოგებს, დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კლას-კაბინეტები. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში, ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროცესის ძირითადი მიგნებები სკოლის ადმინისტრაციას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

1.2.2.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა მუშაობს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე ; ეტაპზე წარმოდგენილია პროექტი	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის თანახმად 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცდება **2023 წლის წლის 10 ნოემბრამდე**
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	პირად საქმეებში არ არის სრულყოფილად განთავსებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში **(30.11.2023)** უზრუნველყოს **3.1.2.3** რეკომენდაციის შესრულება: პირად საქმეებში განთავსდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები.

3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან; • არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა; • არ არის წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში **(01.07.2024)** უზრუნველყოს **3.1.2.3** რეკომენდაციის შესრულება: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, ასევე სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

VI. რჩევა

3.4.1.1		სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**მათემატიკა**-სკოლას მიეცა რჩევა ყველა კლასში მოხდეს კომპლექსური დავალების დაწერა, რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები გაწერონ თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებები ყველა კლასისთვის **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ მაგალითებით და მაგალითები შედარებისთვის, ასევე გაიწეროს კომპლექსური დავალების იდეა.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	**მათემატიკა**-გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით და უნდა გამოკვეთონ სამიზნე ცნების ქვეცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**მათემატიკა**-პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	**მათემატიკა-** რჩევის სახით მიეცათ მეტად გაამახვილონ ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	**მათემატიკა-**პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.
ინდიკატორი N2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**მათემატიკა-** პედაგოგებსმა რჩევის სახით მიეცათ, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში, შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით.
სტანდარტი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	**ესტეთიკური აღზრდა**-გათვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას უზრუნველყოფს. მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**მათემატიკა**-რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები გაწერონ თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებები ყველა კლასისთვის. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-მოქალაქეობის კურიკულუმის მსგავსად სრულად გაიწეროს ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ხოლო მოქალაქეობის კურიკულუმის დანერგვის დროს გამოყენებული იყოს იმაზე მეტად მრავალფეროვანი რესურსები, რაც ახლაა მოაზრებული.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	**მათემატიკა**-გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით და უნდა გამოკვეთონ სამიზნე ცნების ქვეცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	**მათემატიკა**- რჩევის სახით მიეცათ მეტად გაამახვილონ ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე

ინდიკატორი N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**მათემატიკა**-პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	**მათემატიკა**-პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.
ინდიკატორი N2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**მათემატიკა**-რჩევის სახით მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით
სტანდარტ N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	**ესთეტიკური აღზრდა** - გათვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**მათემატიკა**-რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები გაწერონ თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებები ყველა კლასისთვის **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-მოქალაქეობის კურიკულუმის მსგავსად სრულად გაიწეროს ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ხოლო მოქალაქეობის კურიკულუმის დანერგვის დროს გამოყენებული იყოს იმაზე მეტად მრავალფეროვანი რესურსები, რაც ახლაა მოაზრებული.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	**მათემატიკა**-გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით და უნდა გამოკვეთონ სამიზნე ცნების ქვეცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	**მათემატიკა**- რჩევის სახით მიეცათ, მეტად გაამახვილონ ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე

ინდიკატორი N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**მათემატიკა**-პედაგოგებს მიეცათ რჩევა,რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	**მათემატიკა**-პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.
ინდიკატორი N2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**მათემატიკა**-სკოლას მიეცა რჩევა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნან თემის ფარგლებში, შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით.
სტანდარტ N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	**ესთეტიკური აღზრდა** - გათვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება",
ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების *(არაუმეტეს 12 თვე)* მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 მაისის №2-6 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიასა და რევიზიაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, გაწერილია სამოქმედო გეგმა, გაზიარების მექანიზმები. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოება თვლის, რომ ამ ეტაპზე სკოლა არ გამოირჩევა უნიკალურობით, თუმცა აღსანიშნავია რომ თემში რამდენიმე სოფელს აერთიანებს ერთადერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი გარემოს შეთავაზება და ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადეობის ჩართულობით, მისიის და ხედვის რევიზიის გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ეტაპზე, მშობლის, მოსწავლის და პედაგოგების ჩართულობას, გასაუბრებით და

თვითშეფასებით ირკვევა რომ მოხდება დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციის გაზიარება, ჩატარდება ღია კარის დღე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.იქედან გამომდინარე, რომ სკოლას გააჩნდა მისია, რომლის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ამასთან მისიის და ხედვის მოქმედი რედაქციით არსებული ვერსია ხელმისაწვდომია სკოლის ტერიტორიაზე საჯაროდ განთავსების, ასევე სკოლის Facebook გვერდზე ასახულია მისიის და ხედვის გაზიარებასთან დაკავშირებული შეხვედრა, მიგვაჩნია, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მექანიზმი, რომ დოკუმენტის რევიზიის შემდეგ, იგი გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. როგორც აღინიშნა, სკოლაში საჯაროდ განთავსებულია მისიის და ხედვის დოკუმენტი, ასევე სკოლას აქვს ფეისბუქ-გვერდი. შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი) **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებები
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 მაისის №2-6 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას 2023 წლის 31 ივლისის 1-21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა მუშაობს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე რომელიც შესაბამისობის გეგმის თანახმად დამტკიცდება მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს 2022-23 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა მუშაობს სამოქმედო გეგმაზე რომელიც შესაბამისობის გეგმის თანახმად დამტკიცდება მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-23 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის გრაფიკი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **ეს ინდიკატორი არ არის შეფასებადი მიმდინარე პერიოდში**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები იქნება საჯარო **ეს ინდიკატორი არ არის შეფასებადი მიმდინარე პერიოდში.** სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებულ იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ეს ინდიკატორი არ არის შეფასებადი მიმდინარე პერიოდში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასება;
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ცალკე დოკუმენტი რომელშიც აღწერილია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები არ არის, თუმცა სკოლის ძირითადი თანამდებობების ფუნქციები გაწერილია სკოლის წესდებასა და შინაგანაწესში, ნაწილი მათ შრომით ხელშეკრულებებში. ასევე წარმოდგენილ იქნა რამდენიმე პერსონალის ფუნქციები. სკოლის პერსონალი შედგება შემდეგი თანამდებობებისგან: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექთანი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, დამლაგებლები და დარაჯები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge ზე ან/და hr.gov.ზე **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 31 ივლისის 1-20 ბრძანებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავებულია თანამშრომელთა კონკურსის ჩატარების წესი. პირად საქმეებში არ არის სრულყოფილად განთავსებული

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები.წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 30 ნოემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მოწესრიგებას. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს რაც გათვალისწინებულია კადრების შერჩევის დროს წამოყენებულ მოთხოვნებში, ასე და დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლაში შრომით რესურსებს მიეკუთვნებიან მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი, სხვადასხვა პროფესიის და კვალიფიკაციის ადამიანები რომლებიც ურთიერთთანამშრომლობენ გუნდური მუშაობის და გაზიარებული ლიდერობის პრინციპით და მათი შეთანხმებული საქმიანობა განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, მაგალითად კათედრების შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობა, საუკეთესო მაგალითის გაზიარება, უკუკავშირი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც დგინდება მათი მუშაობის დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად; **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას პერსონალის განვითარების საჭიროების დადგენის შემდეგ, პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ხდება მათი დარეგისტრირება სხვადასხვა ტრენინგებზე, საჭიროების მხრივ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა უწყობს პერსონალის განვითარებას და კარიერულ ზრდას, სხვადასხვა ტრენინგების, ვებინარებისა და ქოუჩინგის საშუალებით. სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას და გაწერს იმ აქტივობებს რაც ხელს შეუწყობს მისი კვალიფიკაციის ამაღლებას და განვითარებას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, მათ ადაპტაციასა და სოციალიზაციას ახალ გარემოსთან, ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ახალ სამუშაო გარემოსთან შეგუების პროცესს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წარმატებულ პედაგოგებს გადაეცემათ სერტიფიკატები და მადლობის სიგელები.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა არის პროცესებზე ორიენტირებული. საგანმანათლებლო პროცესების მსვლელობისას ცხადია იქმნება გარკვეული დოკუმენტები. სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაგანაწესში. აღნიშნული პროცესები ხელს შეუწყობს სკოლის მისიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, სადაც

მოსწავლეებს, მშობლებსა და მის კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების გასაჩივრება კანონმდებლობის შესაბამისად.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინარული კომიტეტის ფუნქციონირებაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში, მმართველობით პროცესებთან მიმართებით ხდება მონიტორინგი, ურთიერთთანამშრომლობა კათედრებზე, სასკოლო საზოგადოების წევრებისგან უკუკავშირის მიღება რაც ეფექტურია მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. ეს მექანიზმები შესაძლოა სხვადასხვა იყოს სხვადასხვა პროცესებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის საშუალება

ეძლევათ სხვადასხვა მმართვის ორგანოებში ჩართულობით, მაგალითად პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, აძლევს მათ სკოლის დემოკრატიული მართვის პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი,
- შინაგანაწესის საჯაროობა (ფოტო)
- მშობელთა კრების ოქმი
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო სასკოლო გარემოს, დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციების დროს შექმნილია შტაბი სადაც დეტალურადაა აღწერილი საგანგებო მდგომარეობის დროს გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი რომელიც ითავსებს მანდატურის ფუნქციებს.სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები. სკოლას ჰყავს ექთანი რომელიც იცავს უსაფრთხოების ნორმებს. არსებობს საევაკუაციო გეგმა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი. განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისობის გეგმის თანახმად, **მართვის გეგმა შეთანხმდება საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან, ასევე წარმოდგენილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 2024 წლის 1 ივლისამდე** ამასთან, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებულია ცეცხლმაქრები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილია უწყებაში გაგზავნილი წერილი, რომლითაც მოთხოვნილია სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის შემუშავება. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს გარე უსაფრთხოების კამერები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯაროში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო გარემო, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი, ექთანი. ტარდება მონიტორინგი სკოლაში სისუფთავისა და ჰიგიენური ნორმების შესამოწმებლად. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმი, ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხდება მონიტორინგი, დაკვირვება და შედეგების ანალიზზე ხდება რეაგირება და ცვლილებების განხორციელება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სკოლას ჰყავს რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი რომელსაც ევალება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა და სათანადო რეაგირება. არსებობს რეფერირების შიდა ინსტრუქცია და ხორციელდება რეფერირების პროცედურები ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის,
- ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,

- რეფერირების ბრძანება,
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, ბრძანება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი,
- საევაკუაციო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა სარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებს 29986კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1149.3 კვ., შენობა ნაგებობას, სკოლის მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ამჟამად აქვს 70 მოსწავლისათვის არსებული მერხი და სკამი. გაკეთებულია მოთხოვნა 30 მერხი/სკამზე. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი: საკლასო ოთახები, სკოლის ეზო, დერეფანი, ბიბლიოთეკა, ისტის ოთახი, სკოლის შიდა დარბაზი, იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროცესში სხვსდასხვა აქტივობებში ჩართვა და სრულფასოვანი დასვენება. სკოლა

სრულადაა აღჭურვილი გამართული ინფრასტრუქტურითა და საჭირო რესურსებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები თანაბრადაა მისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში არსებული რესურსებით, ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობს სასკოლო საზოგადოება თანაბრად, რაც ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა საკმაოდ გამართულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სასწავლო გარემო ინფრასტრუქტურულად ისეა მოწყობილი რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად. სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი რესურსოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო პირველ სართულზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
5. სკოლის სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ცოდნისა და ღირებულებების განვითარებას. უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით; უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სკოლის ძირითადი რესურსებია, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შიდა აზომვითი ნახაზი
- ვიზუალური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის აქტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას; სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კომპიუტერები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**
2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია თანაბრად მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის და არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პირობებს, გამოყენების მიზნობრიობას და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია
- ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. საქმისმწარმოებელს თავის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს და მის მიხედვით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, აღნიშნული წესით შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და სხვა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა) იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**
3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო ინფორმაციის გავრცელებას; სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია საკუთარი ვებ გვერდი. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას ასახავს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას ამჟამად არ აქვს აქვს ვებ გვერდი და იყენებს სოციალური ქსელის სხვა საშუალებებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (Facebook) გვერდს. რომელიც, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლას მიმდინარე თვეში ექნება ვებგვერდი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- ვებ-გვერდის არარსებობა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. ბიუჯეტის დაგეგმვისას განსაზღვრულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას, ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება, სკოლის ფინანსურ მართვაზე კონტროლს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მისი თანხმობით მტკიცდება ბიუჯეტი და სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ბარდება ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სხელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით (ვაუჩერი, მასწავლებელთა სერთიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და ა.შ.) 2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2021 წლის 10 დეკემბერს. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენს სკუთარ ფინანსურ ანგარიშს. სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს და შეუძლებელია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებს დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამდენად ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. ხორციელდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). აუცილებელი მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება ანგარიშის სახით. საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ არის გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები. პერიოდული ფინანსური ანალიზის ჩატარება აუცილებელია სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად.
სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლის მომსახურეობის შესყიდვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვის წესისა და წლიური გეგმის საფუძველზე 20 ნოემბრამდე ხდება შესყიდვის გეგმის დამტკიცება. დამტკიცებული გეგმა იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემა ePLAN -ში. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და ხორციელდება შესყიდვები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვის დოკუმენტაცია
- ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალიწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით. ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კანონის შესაბამისად უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში და აირჩიონ წარმომადგენელი. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონიერი უფლებები გამჭვირვალეა და კანონით დაცულია. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, რომელიც საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე, სასწავლის დაწყებიდან ერთ თვეში ხდება დისცილინური კომიტეტის დამტკიცება, სადაც ხდება მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების განხილვა, მშობელს კი უფლება აქვს აღნიშნული გაასაჩივროს სამეურვეო საბჭოში. სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი სადაც განთავსებულია ეს ინფორმაცია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება სადაც გამოკვეთილია მოსწავლის უფლებები, ასევე მშობლის ვალდებულებები სკოლის და მოსწავლის წინაშე. ხელშეკრულება გაფორმებულია ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს და ძალაშია მისი შვილის აღინიშნულ სკოლაში სწავლის პერიოდში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი.
3. მშობელთან დადებული ხელშეკრულება.
4. სკოლის ფეისბუკგვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვას აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც რეგულირდება სკოლაში არსებული სკოლის საქმის წარმოების წესით, იმ ძირითადი დოკუმენტების მოთხოვნით, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული აქტით. დოკუმენტების სრულად წარმდგენისა და მშობლის განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ამორიცხვა და მობილობა სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლას არ უფიქსირდება მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების ფაქტი. რაც შეეხება სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭებასა და ჩარიცხვის პროცედურებს, მოსწავლის შეფასება და სტატუსის მინიჭება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სტატუსის მინიჭების შემდეგ მოსწავლე კანონმდებლობის შესაბამისად ირიცხება ასაკის შესაბამის კლასში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმს, თითოეულ მოსწავლეზე გამოსცემს ინდ. აქტს, რომლის საფუძველია მშობლის განცხადება, მოსწავლეს სტატუსი ასევე უჩერდება 45 სასაწავლო დღის ზედიზედ გაცდენის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას არ ჰყოლია მოსწავლე, რომელსაც სტატუსი აქვს შეჩერებული. რაც შეეხება ჩარიცხვა/ამორიცხვასა და მობილობას. მშობლის განცხადება ტარდება შემოტანის დღეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში (efloW) შესაბამისად, ბრძანებაც იტვირთება ერთიან ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში. მოსწავლე ემატება სკოლის ელექტრონულ (eschool) ბაზაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლას თვითშეფასებაში აღნიშნული აქვს, რომ მშობელსა და სკოლას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელიც 4.1.2.3. მიხედვით საჯარო ვერ იქნება, მაგრამ სკოლას აქვს შინაგანაწესი და ვიზიტის დროს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჯაროდაა გამოკრული სკოლის სტენდზე და ყველასათვის ხელმისწავდომია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება კლუბებისა და წრეების მუშაობას, სადაც დაცულია მოსწავლეთა უფლებები და კანონის შესაბამისად ხორციელდება. არის გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

5. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
6. სკოლის შინაგანაწესი
7. 2022-23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
8. კურიკულუმები
9. სკოლის ფეისბუქგვერდი.
10. საქმის წარმოების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, განსაკუთრებით პირველკლასელთა და ახალგადმოსულ მოსწავლისათვის, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები აქვს შემუშავებული, მაგალითად, როგორიც არის პირველკლასელთა დახვედრა სწავლის დაწყების პირველ დღეს, ასევე კლასის საათი და დამრიგებლის პროგრამა, სადაც დამრიგებელი ვალდებულია იზრუნოს, მოსწავლეს შეუქმნას ადაპტირებული გარემო. სკოლა მაქსიმალურად ქმნის თბილ და კომფორტულ გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების დღიდანვე ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე, რაც გამოიხატება შემდეგში კლასები დაკომპლექტებულია ასაკის შესაბამი მერხებით, სახელმძღვანელოებით, ყველა საკლასო ოთახშია გამოკრულია თვალსაჩინოებები. მოსწავლეთა ნამუშევრები, სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი რესურსოთახი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.
   სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებულია მოსწავლეთა, მათ შორის სსსმ და შშმ მოსწავლეების საჭიროებებს, პირველ სართულზე არის პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. თითოეული მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესის დროს იყენებს ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარის დასადგენად, მშობელი ელექტრონული ჟურნალის დახმარებით აქტიურად ადევნებს თვალს მისი შვილის აკადემიურ მიღწევებს, საგნის მასწავლებლები, დამრიგებელების დახმარებით ინდივიდუალად, ინტენსიურად ეკონტაქტებიან მშობლებს, მათი შვილების აკადემიური მიღწევების ინფორმირებისა და შემდეგი ნაბიჯების დასაგეგმად. იყო შემთხვევა, როდესაც მოსწავლეს ინტენსიურად მოუწია გაკვეთილების გაცდენა, რის შემდეგაც სკოლამ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები მოსწავლის აკადემიური წინსვლისათვის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს გაუწიოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მხარდაჭერა, როგორიც შეიძლება იყოს სურვილის შემთხვევაში მოსწავლის ექსტერნის ფორმით გამოცდებზე რეგისტრაცია, ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა, ასევე კანონმდებლობის შესაბამისად, წესის დაცვით ახორციელებს სკოლაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების რეგისტრაციას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და მასწავლებელთა აქტიური ჩარევით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, და კლასგარეშე აქტივობები, როგორიც არის პოეზიის საღამო, თეატრალური წარმოდგენები, ვიქტორინები. დაწყებით საფეხურზე ჩატარდა შემოდგომის ღონისძიება „ყვითელი ფოთლები“, საბაზო საფეხურზე გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, ასევე სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ინიციატივით განხორციელებულ კონკურსში „ ჩემი გალაქტიონი“ , სადაც მოსწავლეებმა შექმნეს, როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური ნამუშევრები. მოსწავლეების ორგანიზებით ჩატარდა სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“.
სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები და ტექნოლოგიური კლუბი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და უკუავშირის საფუძველზე ახორციელებს სხვდასხვა ღონისძიებას, პროექტსა და აქტივობას, მაგალითად როგორიც არის 2022-23 სასწავლო წელს გამართული საახალწლო ღონისძიება „ახალი წელი ჩვენს საკლასო ოთახებში “, „დავითობა 2023 “ . სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივებს მხარი დაუჭიროს და სასკოლო ცხოვრება გახადოს უფრო მრავალფეროვანი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფეისბუქგვერდი
2. საწრეო და საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალა
3. სწავლის დაწყების პირველი დღე;
4. ინდივიდუალური ვიზიტის ჩანაწერი.
5. ექსტერნის გამოცდის დოკუმენტაცია

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხური მოსწავლეებისათვის დამრიგებლები ინტესიურად ატარებენ კლასის საათს, სადაც საუბარი მიმდინარეობს სხვადასხვა პროფესიული მიმართულებების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა არჩევანი გააკეთონ პროფესიულ მიმართულებებს შორის. ამას ადასტურებს სკოლასა და „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის“ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს კოლეჯთან თანამშრომლობას, რაც გამოიხატება, როგორც მოსწავლეთა სტუმრობას კოლეჯში, სადაც ისინი ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს, ასევე კოლეჯის მიერ სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებს. სკოლის მოსწავლეებს ასევე ინფორმაცია მიეწოდათ თავდაცვის სამინისტროდანაც, რომელთა წარმომადგენლებმაც ადგილზე ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა და ისაუბრეს სხვადასხვა პროფესიებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. დასტურად იმისა, რომ საუბრები არა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, კოლეჯთან თანამშრომლობით დაიგეგმა სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეების ჩარტულობით სარეკრეაციო ზონის მოწყობა. ასევე სკოლის კურსდამთავრებულიდონ ორმა ჩააბარა „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის“ კოლეჯში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი
2. ფოტო მასალა
3. სკოლის ფეისბუქგვერდი.
4. კლასის საათის ჩატარების ოქმი.
5. მოსწავლეთა პროფესიული განვითარების პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლებთან მუშაობის სამქომედო გეგმა, რომლის განხორციელებასაც ახდენს ეტაპობრივად. ასევე შექმნილია ისგ-ჯგუფი, რომელიც წლის დასაწყისში საგნის მასაწავლებლეთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდ, აქტით. სკოლას ასევე ჰყავს სპეც. მასწავლებელი, რომელსაც აქვს შედგენილი გეგმა-გრაფიკი, რომლის ფარგლებში ახორიელებს მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების შემოწმება ხდება მონიტორინგისა და ეტაპობრივად შეფასების საფუძველზე, სპეც. მასწავლებლის რეკომენდაციით, რომელიც აკვირდება სსსმ მოსწავლის განვითარების დინამიკას, შესაძლებელია

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის გადაფასება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სკოლის საზოგადოება ცდილობს სსსმ მოსწავლეების ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, რათა შეუქმნან მათ თბილი და კომფორტული გარემო.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინდ. გეგმები.
2. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
3. სპეც მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს განხორციელებული წლიური მონიტორინგის ანგარიში.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. არასავალდებულო მომსახურებებიდან სკოლა ამ ეტაპზე სარგებლობს მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებით, სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის სკოლა ემსახურება 5 მეზობელ სოფელს, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსპორტით მომსახურების სერვისი, რომელიც გამოყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

შესაბამისად სკოლას მხოლოდ მძღოლების მიერ განხორციელებული რეისების ტაბელები შეუძლია წარმოადგინოს. სკოლა არ საჭიროებს გახანგძლივებული სწავლების მომსახურებით, რაც შეეხება კვების სერვისს, კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს იჯარით გაცემა კვების ობიექტის, სკოლამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა იჯარით კვების ობიექტის გაცემაა, რადგან არ არის მსურველი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის ტრანსპორტით სარგებლობა ნებაყოფლობითია და ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლის ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეგულაციებით. შესაბამისად დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, იყოს ტრანსპორტი უსაფრთხო და მოწესრიგებული, მძღოლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.
   ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მძღოლის მიერ განცორციელებული მარშრუტის ტაბელი, სადაც ხელს აწერს, ერთის მხრივ მძღოლი, ხოლო მეორეს მხრის სკოლის დირექტორი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**+შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო**

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას აქვს მომზადებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ვიზიტის დროს მოხდა მისი დამტკიცება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მათემატიკა
სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მეთოდოლოგიაში მითითებულია ,რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სკოლის ფილოსოფიას. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

უცხო ენა
კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საზოგადოებრივი მეცნიერებები;
.სკოლას აქვს გაწერილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სადაც ასახულია თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და შემდეგ კურიკულუმში ასახვა. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო კურიკულუმის შემუშავების დროს უმეტესად გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ქართული ენა დ ლიტერატურა

კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სპორტი

დაწესებულების მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის განახლება იგეგმება ყოველწლიურად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და პრრიორიტეტებს.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,როგორც ასეთი ცალკე დოკუმენტის სახით მოცემული არ არის ,მაგრამ ჩაშენებულია ინდიკატორი თვითშეფასების დოკუმენტში,რაც მაძლევს საფუძველს მსგავსი დასკვნისა.ეს ასევე ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები,რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.სამომავლოდ იგეგმება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შედგენა და მკაფიოდ გაწერა სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე. არსებობს გამჭვირვალე მექანიზმები, რომლის საშუალებითაც პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.ე.წ. მშობელთა ბარათების მეშვეობით უზრუნველყოფილია მშობელთა ჩართულობაც ამ პროცესში. სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად იქმნება კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს კათედრაზე, პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას. კურიკულუმში გათვალისწინებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხედვები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები.

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლისას ირკვევა, რომ მასში გაწერილია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ჩანს, რომ კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი განახლება ხდება მთელი წლის მანძილზე შეგროვილი მონაცემებისა და გამოკვეთილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა

ჩართულობა. ამდენად, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით (ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, ,,ღია კარის“ დღეები, მშობელთა კრებები, კომუნიკაცია სოციალური ქსელით) ხდება მოსწავლეთა საჭიროებებისა თუ ინტერესების მოკვლევა და გათვალისწინება. მეთოდოლოგიის ჩარჩო განსაზღვრავს მოსწავლეთა, მშობელთა, კათედრებისა და დირექციის შეთნხმებულ მოქმედებასა და როლს რეკომენდაციების შესამუშავებლად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სხვაობა შემუშავებულ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **ბუნებისმეტყველება**

პედაგოგებს გააზრებული აქვთ საზოგადოების ჩართულობისა და თანამშორმლობის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ამიტომ კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

მათემატიკა:

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესებს, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხო ენა :

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოება;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ქმნის ახალ კურიკულუმს, სადაც ასახულია წინა წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლა იყენებს საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის ფორმას და მის შედეგებს ასახავს ახალი კურიკულუმის შემუშავების დროს.

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოება;

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილი სამიზნე ცნებებით-გრძელვადიანი მიზნებით, შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხებით, ასევე ყველა თემაში განსაზღვრული სამივე სამიზნე ცნების დამუშავებით, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებზე გასვლას, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ესთეტიკური აღზრდა:

სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტებს. სკოლას დაგეგმილი აქვს მასშტაბური სოციალური პროექტის განხორციელება, რომელის უშუალოდ ინიციატორი ესთეტიკის კათედრაა. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს. კურიკულუმში ითვალისწინებს სასკოლო თემის თითოეული რგოლის მაქსიმალურ ჩართულობას,ძირითადი აქცენტი მოსწავლეზე და მისი საჭიროებებზეა გადატანილი.სკოლა პროცესს ხედავს დინამიკაში

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

სკოლას გააზრებული აქვს საზოგადოების ჩართულობის და თანამშორმლობის მნიშვნელობა

დაწყებითი საგნები:

შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს გასული წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ფაქტორები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სასკოლო საზოგადოების, მაგ: მშობელთა შეხედულებები. კერძოდ, ის, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ მოსწავლეთათვის დაძლევადი, წინარე ცოდნაზე დაფუძნებული, კომპლექსური დავალებების შეთავაზებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლა არ იყო ჩართული ,,ახალი სკოლის მოდელში". ამის მიუხედვადა მათ მოსინჯეს რეფორმის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებები და დანერგეს კონსტრუქტივისტული მიდგომები სასწავლო პროცესში. პედაგოგები ასევე საუბრობენ იმის შესახებ, რომ მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სადიაგნოსტიკო ტესტირებებს მოსწავლეთ საბაზისო უნარების (წიგნიერებისა და მათემატიკის) მიმართულებით, რაც მათ გარკვეული დასკვნების გამოტანის საფუძველს მისცემს.

სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას ადასტურებს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადაც ჩანს, რომ სასწავლო დასაწყისშივე იწვევენ მშობელთა კრებებს, სადაც განიხილავენ ,,სკოლის შინაგანაწესსს", ,,სკოლის ფილოსოფიას", შეფასების სიტემას და სხვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

მასწავლებელმა აღნიშა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით. პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კურიკულუმში გათვალისწინებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხედვები.

მათემატიკა

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება. იგივე გამოიკვეთა დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც.

უცხო ენა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები. კათედრის წევრებს აქვთ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს, მიზნობრივ აქტივობებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს და სხვა. კათედრის სხდომებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება და შეთანხმება.

სპორტი

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პრინციპები, სადაც იკითხება, რომ კურიკულუმი განვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

მასწავლებელმა აღნიშა, რომ კურიკულუმის შემუშავება მოხდა კათედრაზე თანამშრომლობით და პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოებაც.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ , რაშიც აქტიურად არიან ჩართული დაწყებითი საფეხურის წარმომადგენელი პედაგოგები.სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრსა აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში.ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას.უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში,აქტიური უკუკავშირი მათთან,იქნება ეს სხვადასხვა კვლევებში თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში მათი უშუალო თანამონაწილეობა.

დაწყებითი საგნები;

შესწავლილი დოკუმენტაცია, კერძოდ, კათედრის ჩანაწერები ცხადყოფს და პედაგოგებთან გასაუბრების პროცესშიც ირკვევა, რომ მასწავლებელები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ისინი ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, კათედრის სხდომებზე მსჯელობენ საკუთარი პრაქტიკის შესახებ, უზიარებენ გამოცდილებას, მათ შორის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, აღწერენ პრობლემებს და ერთობლივად ეძებენ მისი გადაჭრის გზებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ავტორიზაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებული ქოუჩინგის ფარგლებში მათ შექმნეს კურიკულუმის ჩარჩოები, იმსჯელეს შეფასების სისტემის გამოყენებაზე და ჩამოაყალიბეს სამომავლო ხედვა . მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებაში გაწერილია კათედრის სხდომის ოქმებსა და სამოქმედო გეგმაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4 საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულმი შემუშავებულია საბუნებისმეტყველო კათედრის წევრების მიერ, ურთიერთთანამშორმლობით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მშობელთა ინფორმირების მიზნით მომავალში იგეგმება შეხვედრების ორგანიზება, სადაც მოხდება კურიკულუმების მშობლებისთვის გაცნობა. ჯერ-

ჯერობით ასეთი აქტივობა არ ჩატარებულა. ასევე, იგეგმება თითოეული კომპლექსური დავალებისთვის მშობლის ბარათის შექმნა, რომელიც მშობლის ჩართულობას უზრუნველყოფს.

მათემატიკა

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც, თუმცა კურიკულუმზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და დასრულების შემდეგ გამოიყენებენ მითითებულ საკომუნიკაციო არხებს საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმის შესახებ და უკუკავშირის მისაღებად.

უცხო ენა;

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საზოგადოებრივი მეცმიერებები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაში გაერთიანებული საგნების პროგრამები, აკადემიური კალენდარი, არაფორმარული განათლების სხვადასხვა საშუალებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის. ამისთვის სკოლა იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში და სასკოლო მატერიალური სივრცეს.

სპორტი:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრება გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში მიმდინარე პროცესებს , დაგეგმილ სასკოლო აქტივობებს, სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციების გაზიარებას სკოლა სოციალური გვერდის საშუალებით ახდენს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

კურიკულმი შემუშავებულია მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან თანამშორმლობით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მშობელთა ინფორმირების მიზნით ჩატარდება შეხვედრები სადაც გააცნობენ კურიკულუმს მშობლებს ჯერ ეს არ განუხორციელებიათ.

ესთეტიკური აღზრდა;

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის პედაგოგების მიერ მიწოდებული მშობელთა ბარათები დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციებით, სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ.სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს მიკუთვნებულობის განცდა,რასაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმირება სასკოლო სივრცეში მომხდარ თითოეულ სიახლეზე,აქტიური უკუკავშირი მათთან და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.

დაწყებითი საგნები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლა ცხადყოფს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება, კერძოდ, მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და დირექცია აქტიურად არიან ჩართულნი. ყველა მათგანს აქვს განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგეგლობები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას კონსრუქტივისტულ პრნციპებზე დაფუძნებით. შესაბამისად, სკოლა თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან სოციალური ქსელით (სკოლის ფეისბუქ გვერდი), მშობელთა კრებების მოწვევით, გამოკითხვებით. ამ პროცესში ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და კურიკულუმების გაზიარება სასწავლო ამოცანების მისაღწევად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. კათედრის სხდომის ოქმი(ანგარიში);

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
4. საინფორმაციო დაფა;
5. ვებ გვერდის ლინკი;
6. მშობლის ბარათი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, იგი კარგად იცნობს მესამე თაობის ესგ-ს, კარგად იცის, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვს დანერგვის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგმა აღნიშნა, რომ მისთვის ყველაზე მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები.

წარმოდგენილ კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, თუმცა პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, გასულ სასწავლო წელს მან იმუშავა კომპლექსურ დავალებებით, რომელთა შერჩევა და დაგეგმვა მოხდა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებზე მუშაობაც შედეგიანი აღმოჩნდა. მასწავლებელი მომავალი სასწავლო წლისთვისაც გეგმავს კოპლექსური დავალებების შერჩევას და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრებას, ასევე, კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და

რესურსების შერჩევას. მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გეგმავს კათედრის წევრებთან ერთად მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისამდე შექმნას როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო კათედრას, სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გათვალისწინებით, შერჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

მათემატიკა

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, I- IV და V- VI კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ ამ დროისთვის IV და Vკლასებში თითო კომპლექსური დავალება, რომელიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ ყველა კლასში გაწერენ კომპლექსურ დავალებებს რამოდენიმე თემაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები და აღნიშნეს რომ კურიკულუმი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და ცნებათა რუკის გამოყენებით აუცილებლად გაწერენ თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებებს ყველა კლასისთვის .

უცხო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების ჩამონათვალი, თუმცა პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისური ენის პირველი კლასისა და რუსული ენის მეხუთე კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა და უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ნათელი გახდა ასევე, რომ კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

ქართული ენა და ლიტერატურა

კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველო" წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწვლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა ცნება. მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს კურიკულუმები სწორი პრინციპით არის აგებული. ყველა თემაში არის დამუშავებული ყველა ცნება. საგან ,,მე და საზოგადოება"-ში კურიკულუმის ჩარჩო ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს. თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.

ჩემი რჩევა იქნება ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, ასევე გაიწეროს კომპლექსური დავალების იდეა.

სპორტი

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. მასში გაწერილია საგნის გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, ქვეცნებები, საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმებზე მუშაობა თანამშრომლობით გარემოში წარიმართა, მასწავლებლების მიერ მოხდა სავალდებულო თემების შერჩევა, ყველა თემაში დაფარულია საგნის სამიზნე ცნებები. ყოველივე აქიდან გამომდინარე გვაქვს საფუძველი, დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

საგნობრივ კურიკულუმი წარმოდგენილია ყველა კლასში, საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დაფარულია ყველა მიმართულება. დამუშვაბეულია სამიზნე ცნებები თუმცა კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. თუმცა პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას.

ესთეტიკური აღზრდა;

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე..სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ.

დაწყებითი საგნები:

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ,,ახალი სკოლის მოდელში", მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, კარგად იცნობენ სწავლების 5 საგანმანათლებლო პარადიგმას, გააზრებული აქვთ სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი კლასების (I-IV) თითქმის ყველა საგანში შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების თემატური მატრიცები, სადაც ეტაპებად გაწერილია დავალება თავისი ამოცანებით, ცხადყოფს, რომ ისინი მიემართება შესაბამისი საგნის გრძელვადიან მიზანს - სამიზნე ცნებისა დამუშავებას და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას კონკრეტული თემის გარგლებში. სასურველია, წარმოდგენილ კურიკულუმს დაერთოს სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი/ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **საბუნებისმეტყველო**

წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგმა აღნიშნა, რომ გეგმავს კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებელი რა აქტივობების ჩატარებას გეგმავს წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებელი აცნობიერებს, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, მაგრამ სკოლის დირექციამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და გადაწყვიტა, უახლოს მომავალში გამოყოს ფართი და მოაწყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია/კაბინეტი.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით,რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით და უნდა გამოკვეთონ სამიზნე ცნების ქვეცნებები. პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას.

უცხო ენა;

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, თუმცა კომპლექსური ბუნების მქონე დავალებება წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისური ენის პირველი კლასისა და რუსული ენის მეხუთე კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში. ამის მიუხედავად, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ორივე უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეარჩიონ სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე და გლობალური ფუნქციური უნარების -კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათისა და ნებელობის განვითარებაზე. მაგალითად, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე,(სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება).

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას. საგანი ჩვენი საქართველოს კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და

დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. საგან ,,მე და საზოგადოება“-ში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი შეესაბამება მოთხოვნებს. ჩარჩო აგებულია ყველა კომპონენტის დაცვით, რომელიც სასწავლო პროცესში ახდენს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. საგანი ,,მე და საზოგადოება“ კურიკულუმი მემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილი სამიზნე ცნებებით-გრძელვადიანი მიზნებით, შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხებით, ასევე ყველა თემაში განსაზღვრული სამივე სამიზნე ცნების დამუშავებით, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებზე გასვლას, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კომპიუტერული ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნორბივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დაგვანახა მზაობა და აღნიშნა რომ განხორციელებს ცვლილებას სექტემბრისთვს და აღნიშნულს გაითვალისწინებს. შეგვიძლია ვთქვათ რომ სკოლას აქვს მზაობა და საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ.

ესთეტიკური აღზრდა:

გლობალური ფუნქციური უნარების განვითარება, რომელიც გვეხმარება კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდაში, ჰოლისტური მიდგომა კი ეხმარება მოსწავლეს, თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, ხოლო მასწავლებლები, იყვნენ ამ ცოდნის მხარდამჭერები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შედგენილი საგაკვეთილო გეგმები და კომპლექსური დავალებები ეხმარება პედაგოგებს სამიზნე ცნებების დაძლევასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამოიკითხება თანამიმდევრული სვლა შუალედური მიზნების გავლით გრძელვადიანი

მიზნისკენ, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან შესაბამისობით. როგორც თავად ხელოვნების პედაგოგმა აღნიშნა ინტერვიუს დროს, ის გაითვალისწინებს ჩემს მოსაზრებებს და სექტემბრისთვის მცირედ ცვლილებებსაც შეიტას თავის სამუშაო გეგმაში, რათა კურიკულუმში უფრო ხაზგასმით წარმოჩინდეს ორგანული კავშირი სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს შორის.

დაწყებითი საგნები:

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ისეთი კომპლექსური დავალებების შეთავაზებას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხის ფარგლებში. ამისთვის კი, პირველ რიგში, პედაგოგებმა გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარების ჭრილში უნდა დაინახონ საკითხები, გაიაზრონ მათი მნიშვნელობა და აღიქვან სასწავლო გარემოს მახასიათებლად, რისთვისაც უნდა გაეცნონ შესაბამის დოკუმენტებს, მათზე დაყრდნობით დააკვირდნენ და განსაზღვრონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ინტერვიუს პროცესში ირკვევა, რომ ამ უნარების გასავითარებლად ისინი ხშირად მიმართავენ პროექტულ სწავლებას, რაც ასევე წარმოადგენს კურიკულუმის ნაწილს. მაგ. დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი პედაგოგი საუბრობს მკითხველთა კლუბ ,,ლაშარის" ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე, როგორც პროექტის ამოცანების გადაჭრის გზებზე და კათედრაზე უზიარებს კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას ამ პროცესში მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული ფუნქციური უნარების გამოვლენისა და განვითარების შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო;

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკაშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე, მოჰყავს მაგალითები და აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული სწავლება, გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. როგორც გაირკვა, სკოლაში დაწყებით საფეხურზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, მათთვის სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული საგნისთვის, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლის პროცესი სასწავლო წლის განმავლობაში. ბუნებისმეტყველების მასწავლებელს მათთვის მომზადებული აქვს გამარტივებული სასწავლო აქტივობები.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში.

თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, რისი ასახვაც ხდება კომპლექსური დავალების პირობის პროცესში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები. მასწავლებლებმა ისაუბრეს ასევე, რომ კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა. მაგ., პოსტერი, პრეზენტაცია, ბუკლეტი და სხვა. მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები.

კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის გათვალისწინებული იყო დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობდა მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს მსაჯობა, საორგნიზაციო საკითხები და სხვა. გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითა წარმოდგენილი და ითვალისწინებს ფესტივალს, პროექტის მომზადებას, ბუკლეტის დამზადებას, კონფერენციის მოწყობას, მოსწავლეებს მიცემს საშუალებას გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები სხვადსხვა კონტექსტში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებტან დაკაშირებით, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებელს მოყჰავს მაგალითები და აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს მზაობა მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა.

ესთეტიკური აღზრდა;

სასწავლო პროცესში მეტწილად გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა,ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები.ითოეული მოსწავლე აღქმულია,როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით.წლის დასაწყისშივე ხდება სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა კათედრების ურთიერთთანამშრომლობით.. საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი.

დაწყებითი საგნები:

მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული დიფერენცირებული მიდგომების მნიშვნელობა. სკოლას აქვს შემუშავებული ინკლუზიური მიდგომების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შექმნილი აქვს ისგ რამდენიმე საგანში საჭიროების მიხედვით, მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები პროდუქტის დიფერენცირებით. ის ფაქტი, რომ მასწავლებლებს აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში დანერგავენ ისეთ განმავითარებელ ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ დაადგინონ თითოეული მოსწავლის მიღწევის დონე ამა თუ იმ სასწავლო საკითხზე და განსაზღვრონ, რა ესაჭიროება თითოეულ მათგანს, მოახდინონ პროცესის ან შინაარსის დიფერენცირება და აუგონ ხარაჩო კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის ბუნებისმეტყველების პედაგოგი აღნიშნავს, რომ განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. განმავითარებელი შეფასებით აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებელი აგროვებს მოსწავლის შესახებ მონაცემებს, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება და თითოეულ მოსწავლეზე მორგება. პირველი კლასიდან მეხუთე კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას, ზეპირ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებელი აკეთებს თითქმის ყოველი აქტივობის შემდეგ, ხოლო ყოველი გაკვეთილის ბოლოს აკეთებს განმავითარებელ შეფასებას ყოველი მოსწავლისთვის. სემესტრული და წლიური შეფასებას მასწავლებელი ახორციელებს განმავითარებელი კომენტარებით. განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეების შეფასება ხდება მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან, ფასდება მხოლოდ საკლასო აქტივობები. შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ, იგი ძირითადად ხორციელდება როგორც გაკვეთილის ბოლოს, შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით, ასევე სემესტრის და სასწავლო წლის ბოლოს. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. სამწუხაროდ, მასწავლებელმა ვერ წარმოგვიდგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მაგრამ მოგვახსენა, რომ მომავალი წლისთვის გეგმავს რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ყველა რუბრიკას მოარგებს სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

მათემატიკა

სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, მაგრამ მათემატიკის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი სანიმუშო რუბრიკები განმავითარებელი შეფასებისთვის. I- IVკლასებში წარმოდგენილი აქვთ ზოგადი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (დაკვირვების ფორმა) ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით, გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონტექსტის გათვალისწინებით.

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები, თუმცაღა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი. მათ აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კათედრამ წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგანი ,,ჩვენი საქართველო" შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. საგანი ,,მე და საზოგადოება" მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. თვითშეფასების დოკუმენტში არის ჩანაწერი სადაც სკოლა ადასტრებს რომ დაწყებით საფეხურზე აქტიურად იყენებს განმავითარებელ კომენტარს და რომ მოსწავლეებს მასწავლებლები ყოველი აქტივობის შემდეგ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

სპორტი:

წარმოდგენილი კათედრის ოქმიდან და მასწავლებლების გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე დგინდება, 1-4 კლასებში განმავითარებელ შეფასებას ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრის ბოლოსა და მე-6 კლასში, როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას ჩათვლის სახით. სასწავლო პროცესში ყოველთვის ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა ერთი თემიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება საგნის სამიზნე ცნებებზე - გრძელვადიან მიზნებზე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს საგნობრივ საკითხებთან მიმართებაში. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში დაიხვეწება და შემუშავდება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

სკოლას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, თუმცა შეფასების ფორმები დასახვეწია. კრიტერიუმები არ არის მორგებული კონკრეტლ დავალებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელი გამოთქვამს მზაობას შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები და აღნიშნავს როგორ გააკეთებს ამას.

ესთეტიკური აღზრდა;

მუსიკისა და ხელოვნების საგნის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმა მათთვის იყო შედეგების მიღწევის ტაქსონომია. ტაქსონომიით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, რაც იძლეოდა თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკაში დანახვის შესაძლებლობას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. (იგულისხმება მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან დაწყებული მეექვსე კლასის ბოლომდე) შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.სამომავლოდ დაიგეგმა შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თითოეული თემის ფარგლებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები:

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლას შერჩეული აქვს შეფასების ისეთი მოდელი, როდესაც მასწავლებელი შეძლებს თითოეული მოსწავლის შესაფებას სამი კატეგორიით: დამწყები, განვითარებადი, ექსპერტი. ეს საშუალებას მისცემს მას სისტემატური აღრიცხვის გზით თვალსაჩინო გახადოს მოსწავლის პროგრესი და გამოკვეთოს პრობლემები. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მზად არის გამოიყენოს შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო;

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მცირე გამოცდილება, რადგან ეს სკოლა არ არის ახალი სკოლის მოდელში პირველ ეტაპზე ჩართული სკოლა (ჩართულია 2022-2023 სასწ. წლიდან), გაითვალისწინებენ წინა წელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გამოვლენილ ხარვეზებს, ჩაამატებენ მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამის აქტივობებს, მისცემენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ პრეზენტაცია. ეს გაზრდის მოსწავლეების ინტერესს, განიხილავს კათედრაზე საკუთარ გამოცდილებას. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იგი ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს უნარების წარმოჩენასა და განვითარებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნის მომავალ კურიკულუმს.

მათემატიკა

დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პედაგოგები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხო ენა;

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რომ აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცეს და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამავე დროს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება(ძირითადად ზეპირსიტყვიერად), ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

ქართული ენა და ლიტერატურა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები.

მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას დასმულმი დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები.

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ეყრდნობოდნენ წინარე გამოცდილებას, პრაქტიკული სწავლებისას აღიარებული იყო მეთოდი, ხერხი, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებელთა შერჩეული იყო ისეთი თემები, როლებმაც სპორტულ ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში წარმატება მოიტანა. ხოლო კურიკულუმების გადამუშავებისას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება ისეთი სპორტის სახეობების დამატება, რომლის განხორციელების პრაქტიკა სკოლას აქვს და რომელმაც წარმატება მოუტანა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

როგორც კურიკუუმიდან ჩანს და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წინარე ცოდნას. ყოველი აქტივობა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების ანალიზის საფუძველზე ინტერვიუს დროს მასწვალებელი საუბრობს მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმვის პროცესში როგორ გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას.

ესთეტიკური აღზრდა:
როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. რადგანაც სკოლა პირველ ნაბიჯებს აკეთებს ამ თვალსაზრისით,სამომავლოდ ითვალისწინებს პროცესების მონიტორინგს და მოახდენს სწავლა- სწავლების პროცესში მიღებული წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებას.

დაწყებითი საგნები:
მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმს შეიმუშავებენ წინა წლის კურიკულუმის რევიზიისა და გადასინჯვის შედეგად, გამოვლენილ საჭიროებებს კი ასახავენ ახალ კურიკულუმებში. ისინი მსჯელობენ გამოვლენილ პრობლემებზე და სასწავლო პროცესს მასზე დაყრდნობით გეგმავენ. აგრეთვე, ინტერვიუს დროს აღწერენ, როგორ, რა გზებითა და საშუალებებით აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს. ისინი ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ამისთვის აქვთ შექმნილი ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, ამავე ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული აქვთ მასწავლებელთა საგაკვეთილო დაკვირვების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხარისხის განვითრების ჯგუფის წევრები ესწრებიან პედაგოგებს გაკვეთილზე, შემდეგ სხდებიან და ურთიერთგაზიარების რეჟიმში მსჯელობენ, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გამოიკვეთა, რა მუშაობს კარგად, აძლევენ რეკომენდაციებს მასწავლებელს, ასაბუთებენ, რა საჭიროებს გაუმჯობესებას, რას როგორ დაძლევენ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები
3. თვითშეფასების დოკუმენტი,
4. საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუ,
5. ინდ.გეგემები,
6. შეფასების რუბრიკები
7. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
8. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. რაც ასევე იკვეთება ინტერვიუდან, კერძოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს მომავალში შესთავაზოს კომპლექსური დავალებები, ასევე პროექტული, ინტეგრირებული მიმართულების ტიპის დავალებები. მასწავლებლთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

მათემატიკა;

ვინაიდან, დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კათედრამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, რაც მისცემს მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძებლობას. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.

უცხო ენა

წარმოდგენილ კურიკულუმებში მწირადაა წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ შუალედური მიზნები დაგეგმონ ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე მიმართებით, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მათ სიღრმისეულად ისაუბრეს, რომ ასეთი სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ქართული ენა და ლიტერატურა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია იმაზე, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღმოჩნდა უმნიშვნელო ხასიათის ხარვეზი, რომლების გამოსასწორებლად ვიზიტის პერიოდში დროს მივეცი. ხარვეზი აღმოიფხვრა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.

სპორტი:

სკოლის მიერ მოწოდებული სოციალური გვერდიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთათვის საყვარელ სპორტის სახეობებში ფესტივალს, მოძრავ თამაშებს მოიაზრებს უფრო მეტად გააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და რაც მათ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობასაც გაზრდის.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კომპლექსურ დავალებას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. რაც ასევე იკვეთება ინტერვიუდან, კერძოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს მომავალში შესთავაზოს პროექტული, ინტეგრირებული მიმართულების ტიპის დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

ესთეტიკური აღზრდა;

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, სწორედ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, მოსწავლეების ხელშეწყობა ხდება პედაგოგების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებითგზით, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.

დაწყებითი საგნები:

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. განხორციელებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები, მაგ. ბუნებისმეტყველებაში თემაზე ,,ადამიანი და ცხოველი", იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **საბუნებისმეტყველო**

მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააააზრებინოს კონტექსტმაგალითში წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ცდილობს გაამდიდროს კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით, რადგან მესამე თაობის ესგ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსურ დავალებებს მიიჩნევს, რომლებიც განხორციელების გზების მოძიების საფუძველს წარმოსდგენს.

მათემატიკა;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ჯერჯერობით ნაწილობრივ გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, ამ ტიპის დავალების შესრულება კი გულისხმობს ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურებას.

უცხო ენა;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა, რუსული ენის მეხუთე კლასის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ იგი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში ასახული დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწყებით საფეხურზეც კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური დავალებების ისეთი პირობები, რომ მიაწოდოს მას ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს

შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ქართული ენა და ლიტერატურა;

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები.

საგან ,,მე და საზოგადოების" საგნობრივ კურიკულუმში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა.

სპორტი;

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხორციელდებოდეს. არჩეული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული და მოსწავლის ცოდნის კუნსტრუირების შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო პროცესი მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპისკენაა მიმართული და მოსწავლეებს ეხმარება მიღებული ინფორმაციის ცოდნათ გარდაქმნაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

კურიკულუმში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

ესთეტიკური აღზრდა.

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპით- ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. კომპლექსურ დავალებეამდე მისასვლელი აქტივობები ამ გზას სრულყოფილად ასახავენ.

დაწყებითი საგნები;

კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან . დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **საბუნებისმეტყველო**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, ცნობისმოყვარეობა და მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისდება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, კათედრის წევრები უზრუნველყოფს სწავლის სწავლას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს: სასწავლო პროცესში ვახალისებთ მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას. მასზე დაყრდნობით კომპლექსური დავალების ფარგლებში ვთავაზობთ ისეთ აქტივობებს და დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს მოახდინოს საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ანუ მოსწავლემ უნდა გაიაზროს რა არის მისი მიზანი; რას გააკეთებს მიზნის მისაღწევად; შეასრულებს დავალებას და შექმნის პროდუქტს. შემდეგ ეტაპზე მოახდენს შესრულებული დავალებების ანალიზს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ე.ი. გააკეთებს აქცენტს მეტაკოგნიციაზე.

მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით.

სპორტი:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებიდან გამომდინარე სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლე რეფლექსიის საფუძველზე შეძლებს სწავლების სწავლის პოოცესი აქტიური გახადოს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციის და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, კურიკულუმში ჩაშენებეული წარმოდგენილი ელექტრონული რესურსებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

ესთეტიკური აღზრდა

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს. ითვალისწინებს ასევე მსწავლელთა ტიპებს რითაც ხელს უწყობენ მათ დამოუკიდებელ მსწავლელებად ჩამოყალიბებაში. წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა,თვითრეფლექსია,მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

დაწყებითი საგნები;

მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლებს ფიქრისაკენ უბიძგებს. კითხვები - „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან ?“ - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს და გააანალიზონ, რა ფაქტორები ახდენს მათზე გავლენას, რა ეხმარებათ სწავლაში. მოსწავლეები ადგენენ და ავსებენ ცხრილებსა და დიაგრამებს, ახალი ინფორმაციას სხვადასხვა სქემებში განათავსებენ, ახარისხებენ მიღებულ ინფორმაციას. ეს კი მათ უადვილებს გააზრების პროცესს. მოსწავლე ეჩვევა კოგნიტური სქემებით აზროვნებას და ცოდნის ორგანიზებას, რაც მეტაკოგნიტურ უნარებს უფრო ააქტიურებს. ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **საბუნებისმეტყველო;**

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევედეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. კურიკულუმის სრულყოფის მიზნით კომპლექსური დავალებების პირობები შეიქმნება ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინებით.

მათემატიკა;

დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კომპლექსური დავალების გამოყენებით, ასეთი დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნა გადაიზარდოს პირობისეულ ცოდნაში

უცხო ენა;

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის რუსული ენის მეხუთე კლასის კურიკულუმში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალება ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის

კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან

საზოგადოებრივი მეცნიერებები.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან დაწყებით კლასებში საგნებში „ჩვენი საქართველო“ და „მე და საზოგადოება“ ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომელბიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას.

თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება რომ სკოლა ახალი კურიკულუმის დანერგვის დროს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს სადაც გათვალისწინებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორია.

სპორტი:

საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ფარგლებში განსახორციელებელი სპორტული ფესტივალი, პროექტული სწავლება, კონფერენციები ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. კურიკულუმებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ფარგლებში დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნა მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებისასს გადააქვთ პრაქტიკაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

წარმოდგენილ დოკუმენტაციის და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, კურიკულუმში ჩაშენებეული წარმოდგენილი ელექტრონული რესურსებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

ესთეტიკური აღზრდა;

პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რაზეც მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების

საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

დაწყებითი საგნები;

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლეები არა მხოლოდ იძენენ დეკლარატიულ ცოდნას, არამედ პროცედურულ და პირობისეულ ცოდნასაც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. **საბუნებისმეტყველო.**

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა. გასაუბრების დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ შერჩეული დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს არის ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნის წინაპირობა.

მათემატიკა;

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თუმცა მცირე მცდელობების გარდა მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და გამოყენება.

უცხო ენა;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა, რუსული ენის მეხუთე კლასის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებას, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზონ მსგავსი ტიპის დავალებები, სადაც დავალება ორიენტირებაა პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს

მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველო“ და ,,მე და საზოგადოება“ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია, მაგ: ,,ჩვენი საქართველო“ ეს საგანი პირდაპირ ხდება საგანთა ინტეგრირების საშუალებას.

სპორტი;

წარმოდგენილი კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეეებს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზეა ორიენტირებული. სამიზნე ცნებების ფარგლებში გაწერილი ქვეცნებების როგორიცაა მაგალითად უსაფრთხოება სპორტულ მოედანსა თუ დარბაზში, ინდივიდუალური უსაფრთხოების ზომები, თუ ძირითადი წესების ცოდნის გამოყენება და პრაქტიკაში გადატანა ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. სამიზნე ცნების - ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში დაგეგმილი ჯანსაღი კვებისა თუ ჰიგიენის საკითხების დამუშავება მოსწავლეებს საშუალებას მიცემს ცოდნის ორგანიზებასა და საგანთა შორის ურთიერთდაკავშირებაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. მაგალითად მუსიკა და ტექნოლოგიები, ასევე პროექტული სწავლების გაძლიერებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, მტკიცდება, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

დაწყებითი საგნები:

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი
2. სასკოლო სასწავლო გეგმა.
3. მასწავლებელთა ინტერვიუ
4. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო:**
   წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გამოავლინა ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებელი შეეხო გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
   მათემატიკა;
   დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებში ნაწილობრივ აქვთ გაწერილი კომპლექსური დავალებები(IV-Vკლასებში თითო კომპლექსური დავალება), საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ , თუმცა დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები,რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
   უცხო ენა:
   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მწირადაა წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, თუმცა გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სასწავლო შედეგებზე/ სამიზნე ცნებებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.
   ქართული ენა და ლიტერატურა;
   სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.
   საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი ,,ჩვენი საქართველო“და ,,მე და საზოგადოება“, უმეტესად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის.

სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზიდან იკითხება, რომ რომ მომავალი წლიდან სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თუ სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე შერჩეული თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. შემუშავებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითაა წარმოდგენილი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასას და გათავისებას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

მიუხედავა იმისა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ყველა კლასში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება, ინტერვიუს დროს მასწავლებელი აანალიზებს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ესთეტიკური აღზრდა;

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.ამას ადასტურებს ჩემს მიერ გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები.გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის.სამომავლოდ იგეგმება კომპლექსური დავალების რეფლექსიის ფორმის დახვეწა,რაც მისასალმებელია.თუმცა აქვე ვიტყვი,რომ ნიმუშებად წარმოდგენილია თითო თემა და ატივობები ამთემის ფარგლებში.სექტემბრისთვის იგეგმება ყველა თემის გაწერა.

დაწყებითი საგნები;

სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს, კლასის საათებს, რომლის ფარგლებშიც ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს, აწყობენ გამოფენებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებელთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. მასწავლებელთან გასაუბრებიდან ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მათემატიკა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მიმართულებით შერჩეულია (IV-Vკლასებში თითო კომპლექსური დავალება) საინტერესო დავალებები, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;რაც ასევე დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარშიც

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები მწირადაა შერჩეული, თუმცა საბაზო საფეხურზე კათედრას მრავალფეროვნად აქვს წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას შეუძლია დაწყებით საფეხურზეც შესთავაზოს მოსწავლეებს იგივე ტიპის დავალებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მხრიდან დაფიქსირდა მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები, დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა; ამასთან, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“)

ქართული ენა და ლიტერატურა;

კერძოდ, კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის აკადემიურ, პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება;

კურიკულუმში ,,ჩვენი საქართველო“ და ,,მე და საზოგადოება“ შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი, რომელიც მომავალი წლიდან იგეგმება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იქნება მორგებული. ყველა თემაში გაწერილი სამიზნე ცნების ორგანიზებულობა და თვითკონტროლის ფარგლებში გაწერილი ქვეცნებები, საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი, გუნდური უნარების ჩამოყალიბებას, სტრესული და კონფლიქტურ სიტუაციების გამკლავებასა და ემოციების მართვაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. ეს ასევე იკვეთება მასწავლებელთან ინტერვიუს დროს. საგნობრივი კონტექსტი ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა

პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებაში. განსაკუთრებით გამოვყოფდი ხელოვნებასა და მუსიკაში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებს მეექვსე კლასებსში, რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება. საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული.

დაწყებითი საგნები:

სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან “? და ა.შ. რაც ეხმარება მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი

და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **ბუნებისმეტყველება;**

გასაუბრებისას მასწავლებელმა ბრძანა, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხერხდეს მოსწავლის პიროვნული განვითარება. ამიტომ იგი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, განუყოფლად მოსწავლის ყოველდღიურობასთან. შეფასებისას ცდილობს გამოავლინოს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცეს მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებს განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებს განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებს წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. სამწუხაროდ, მასწავლებელმა ვერ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი მოსწავლეების შეფასებისას იყენებს შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობს საგნობრივი სტანდარტით. გამიზიარა აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავს შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც აღნიშნა, ყველა რუბრიკას მოარგებს სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

მათემატიკა;

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასალებში (I-IVკლასები)წარმოდგენილი არის განმავითარებელი შეფასებისთვის მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით სთავაზობენ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნული ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს - ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. რჩევის სახით მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით

უცხო ენა

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროცესი, სადაც შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ

ყველა გარემოებას. ასევე, ნათლად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ქართული ენა და ლიტერატურა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა;

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. ორივე საგანში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე იყენებენ სოლო ტაქსონომიას მოსწავლეთა შესაფასებლად და რომ მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს მუდმივ უკუკავშირს. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმა გასუბრების დროსაც.

სპორტი:

მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება მარტო სწავლის შედეგებს კი არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ იმასა თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი და რომ ის მოსწავლის წინსვლზე უნდა იყოს ორიენტირებული. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე იქნება მიმართული

კომპიუტერული ტექნოლოგიები;
სასკოლო კურიკულუმში გაწერილია შეფასების სისტემა, ასევე წარმოდგენილია შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება შეფასდეს, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა
მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას კათედრაზე გამოყენებულია განმავითარებელ შეფასება სტანდარტის შედეგებზე და შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე

დაწყებითი საგნები:
მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სწავლების დაწყებით საფეხურზე შეფასებაში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტურ გავითარებას. მასწავლებელთა მიერ ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისა და სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული განმავითარებელი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. ბუნებისმეტყველება
დაწყებითების კათედრის პედაგოგს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები. მას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, თუმცა პირადი საუბრისას გაირკვა, რომ იგი ამჟამად მუშაობს ამ რუბრიკების შექმნაზე, სადაც ასახული იქნება, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება, იცის, როგორ უნდა შეარჩიოს შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგი გეგმავს შექმნას დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

მათემატიკა:
სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნავენ ,რომ პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,

სამართლიანი; სწორედ ამიტომ შეფასების რუბრიკების შექმნაში უნდა ჩაერთონ მოსწავლეებიც და იგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მოსწავლეებისთვის.

უცხო ენა:

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ამასთა, მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ რომ მოსწავლეები ჩართონ შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით კი, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ,გეგმავენ რომ მოსწავლეებმა შეაფასონ ერთმანეთი და იმსჯელონ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კათედრა შეფასების სისტემას სასწავლო პროცესში გამოყენებს და იზრუნებს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება.

თვითშეფასების დოკუმენტში არის საუბარი იმაზე რომ მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.

სპორტი:

კათედრასთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა მხრიდან სასწავლო პროცესში სიტყვიერი განმავითარებელი შეფასებას გამოიყენებდნენ, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება ჩათვლების სახით . ამ ეტაპზე სკოლამ სტანდარტზე დაყრდნობით წარმოადინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ერთი

კონკრეტულ თემაზე კერძოდ მძლეოსნობაზეა მორგებული და განმარტებულია რომელ სამიზნე ცნებებზე როგორ მოხდება მოსწავლის შეფასება. კათედრიდან იკვეთება მზაობა შემუშავდეს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ესგ სტანდარტებთან და რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს აკონტროლოს სწავლის პროცესი რის მიხედვით და როგორ შეფასდება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემა. განმსაზრვრელი შეფასება ზოგად ხასიათს ატარებს და არაა მორგებული შესაბამის საკითხთან. ინტერვიუს დროს მასწავლებელი გამოთქვამს მზაობას და საუბრობს შეფასების სისტემის დახვეწის შესახებ.

რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

ესთეტიკური აღზრდა:

როგორც დოკუმენტიდან ჩანს დირექციის და პედაგოგთა ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაშიც მათ ეხმარება მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისსათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან,როგორ ფასდებიან,და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. იგეგმება სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების უფრო დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრის წარმომადგენლებს აქვთ ჩვენს მიერ ზოგადი რუბრიკები,რომელსაც მოარგებენ კონკრეტულ საკითხებს.

დაწყებითი კლასები;

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიოა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. **საბუნებისმეტყველო;**

როგორც მასწავლებელთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილდოკუმენტაციაში ჩანს, დაწყებით საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგი მე-5 კლასში მეორე სემესტრისა და მე-6 კლასში ორივე სემესტრის ბოლოს ატარებს შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, რომელიც არის მოსწავლის მიღწევების ანალიზი, პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს, მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის შემაჯამებელი სამუშაოები და მათი ანალიზი ნათლად ასახავს თითოეული კლასის ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოკვეთს იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელია შედეგების გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც

უცხო ენა:

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის განვითარების და მხარდაჭერი მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი. თვითშეფასების კითხვარში წერია რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები წერენ განმავითარებელ კომენტარებს როგორც ელექტრონულ ჟურნალში ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში.

სპორტი:

დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერაზე, ხოლო შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაზეა ორიენტირებული.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

სკოლა ნაწილობრივ აქვს შექმნილი აღნიშნული დოკუმენტი;

ესთეტიკური აღზრდა;

კათედრაზე ხდება გამოყენებული შეფასების სისტემის რეფლექსია და ანალიზი, დაფუძნებული კონკრეტულ შედეგებზე. ვიმედოვნებ არჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი პედაგოგებს საკმაოდ დაეხმარება. ვერიფიკაცია გვაწვდის ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლას დრო და რესურსები სჭირდებათ, ამიტომ მომავალში ამ მხრივ დაიგეგმება მუშაობა

დაწყებითი საგნები:
ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმს, სრულყოფს არსებულ სისტემას და გახდის მას, სანდოს, ვალიდურს, და გამჭვირვალეს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე ხშირად მსჯელობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება, რათა უფრო მოქნილი გახდეს და მცირე საგაკვეთილო დროში მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. **საბუნებისმეტყველო:**

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტების წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შენახულია და სათანადოდ აღრიცხულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები არანაკლებ 3 წლის ვადით.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც

უცხო ენა;

.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ქართული ენა და ლიტერატურა:

.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხელმისაწვდომია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები.სკოლა არსებული წესის თანახმად აწარმოებს და ინახავს დოკუმენტებს.

სპორტი:

სკოლის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის დოკუმენტი სკოლამ წარმოადგინა;

ესთეტიკური აღზრდა;

სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, შემაჯამებელი (მეხუთე, მეექვსე კლასები) დავალებები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ).

დაწყებითი საგნები:

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საქმის წარმოების წესი
4. ბრძანება დაწყებითი საფეხურის დაძლევის შესახებ
5. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო:**

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია დადგინდეს, რომ სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კლიმატით, მაღალი მიმღებლობით, თანამშრომლობით. გათვალისწინებულია მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების იდეები, მიესალმებიან მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში გაწერილი აქვთ თუ როგორ შეიძლება შექმნან სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; რაც ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

უცხო ენა:

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმმ საჭიროებების შესაბამისი) კათედრები ურთიერთთანამსრომლობენ ერთმანეთთან და სხვა..

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო. სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება თანამშრომლურ გარემოში. გამოცდილების გაზიარება, ახალი გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, სკოლის სასწავლო გეგმის, თუ მისისისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია დადგინდეს, რომ სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კლიმატით მაღალი მიმღებლობით, თანამშრომლობით. ითვალისწინებენ მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების იდეებს, მიესალმებიან მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში

ესთეტიკური აღზრდა;

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.დაწყებით საფეხურზე პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.ნიშანდობლივია,რომ ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება,როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღები გადაწყვეტილება,გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით.გასაუბრებისას დაასახელეს ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ერთობლივი პროექტი,მუსიკის და ფერწერის სინთეზურ ბუნებასთან დაკავშირებით.ასევე აღინიშნა მათი მჭიდრო თანამშრომლობა მომიჯნავე საგნების პედაგოგებთან.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები:

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა. ის ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სკოლის ფილოსოფიის ნაწილში ჩანს, რომ სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, დაეხმაროს მოსწავლეს გლობალურად მოაზროვნე, პატრიოტ, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და გლობალურად მოაზროვნე პიროვნებად ჩამოყალიბებაში. აღზარდოს თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი მოქალაქე, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეებს უბიძგებს პიროვნული ზრდისაკენ. სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებას. სკოლა უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე, სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო;

ინტერვიუზრ დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლებლები ერთობლივად თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ

დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ქმნიან ეფექტურ გარემოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებისთვის.

მათემატიკა:

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად; რას გულისხმობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულობა და რა ხერხებით უნდა მიაღწიონ ამას , კარგად აქვთ აღწერილი სკოლის თვითშეფასების კითხვარში.

უცხო ენა:

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რომელიც მიმართულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე.

სპორტი:

სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შეთავაზება, თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე გაწერილი სასწავლო აქტივობები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასევე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარეობს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებული.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლებლები ერთობლივად თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ქმნიან ეფექტურ გარემოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებისთვის.

ესთეტიკური აღზრდა:

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შექმნაზე. მასწავლებელი უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს,

დაწყებითი საგნები:

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. მისი მიღწევისათვის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული, არამედ, ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, როგორიცაა პროექტი ,,ლაშარი", შექმნილია საგნობრივი წრეები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას განაპირობებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო;

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარეობს კათედრებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წარმოდგენილია კათედრების, სამუშო შეხვედრების ოქმები.

მათემატიკა;

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამრომლობა და გუნდურობა არის ის მნიშვნელოვანი პლატფორმა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას სასწავლო პროცესში. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების კითხვარშიც

უცხო ენა:

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს.

ქართული ენა და ლიტერატურა;

.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა.

სპორტი:

მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრებზე წევრთა შორის მუდმივად ხდება თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება , წარმატებების განსაზღვრა, პრობლემის იდენდიფიცირება და მისი გადაჭრის ერთობლივი გზების ძიება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს, მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წარმოდგენილია კათედრების, სამუშო შეხვედრების, დამრიგებლების ოქმები.

ესთეტიკური აღზრდა:
ესთეტიკის კათედრაზე დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ,ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის თავალთახედვა მიღებული და გაზიარებულია.მცირე კონტინგენტიანი სკოლა ამის საშუალებას უფრო ეფექტურად იძლევა.ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება დ ა ერთობლივი განხილვა-რეფლექსია.

დაწყებითი საგნები:

წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრების (მაგ: მათემატიკისა და ესთეტიკის) ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლას აქვს ასევე მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) სადაც გაწერილია მშობლისა და სკოლის უფლება - მვალეობანი, სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან კომუნიკაციის საშუალებები: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფბ, ჯგუფი, ასევე ჩამოთვლილია მშობლებთან საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებათა თემატიკა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. ბუნებიმეტყველება;

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამშორმლობითი სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები სკოლაში უზრუნველყოფს სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის არსებობას.

მათემატიკა:

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

უცხო ენა;

.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ქართული ენა და ლიტერატურა;

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. არსებობს თანამშრომლობითი კულტურა, წახალისებულია პროექტები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მორალური ფასეულობების დამკვიდრებას და სხვა...

სპორტი:

თანამშრომლობითი კავშირები, სასკოლო გარემოში აღიარება, პატივისცემა, ნდობა, ზრუნვა სკოლის განვითარებაზე პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლის ინტერვიურების შედეგებიდან სწავლა სწავლების ხარისხზე ზრუნვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, პროექტებში, სასკოლო ოლიმპიადებსა თუ სპორტულ აქტივობებში დაჯილდოება/წახალისება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას სკოლისა და კლასის დონეზე.

ესთეტიკური აღზრდა:
არსებობს სასკოლო კლიმატის 5 განზომილებიანი მოდელი: უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციური გარემო, როგორც ავთენტურ სივრცეს სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოზიტიურ კლიმატს მოსწავლი ფსიქო- ემოციურ განვითარებაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:
ინტერვიუს დროს იკვეთება სკოლისმიერ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ასევე თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები იძლევა საშუალებას ვთქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

დაწყებითი საგნები:
სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ გამოცდილებას შეხვედრებზე. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მაგ: 2022-2023 სასწავლო წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო USAID-ის მიერ საბაზისო განათლების ფარგლებში ორგანიზებულ ,,იდეატორთა კლუბში“ და ამ მხრივ გაწეული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელიც დაწყებით საფეხურზე განხორციელდა, წარადგინა რეგიონულ კონფერენციაზე, როგორც წარმატებული გამოცდილების გაზიარება. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. საკლასო სივრცის ორგანიზება (მერხების გადაწყობა) ხდება მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და განსახილველი საკითხების გათვალისწინებით. აქვთ მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკა სიგელებით, ზეპირი კომენტარით. კორიდორში არსებობს საინფორმაციო დაფები, აქ სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სხვადასხვა ბროშურები ჯიბაკში ,,ეს საინტერესოა“, რათა მნიშვნელოვან საკითხებზე სასკოლო საზოგადოებამ აიმაღლოს ცოდნა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. სკოლის ფეისბუკგვერდი;
3. კათედრის სხდომის ოქმი;
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

5. სკოლის შინაგანაწესი
6. მშობლებთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებ.თან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო:**

   ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტციით.

   მათემატიკა:

ვინაიდან ამჯერად იმყოფებიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნის შემდეგ შეიმუშავებენ მონიტორინგის მეთოდოლოგიას გარკვეული ნაბიჯების გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება, ასევე სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია .

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შემუშავებისას განვსაზღვრულია მონიტორინგის მეთოდები და შეფასების კრიტერიუმს. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას (უფროსს მათ შორის კომპლექსურების განხორციელებისას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

დაწყებითი საგნები:

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,…სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები). მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული

გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოვლინდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები მისი წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტციით.

მათემატიკა:

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარით და მასწავლებელთა ინტერვიუებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.

სპორტი:

სკოლა ზრუნავს, რომ მონიტორინგი და შეფასება მასწავლებლის კონტროლს კი არა, არამედ მხარდაჭერას ემსახურებოდეს. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მოიცავს მიღწევების ანალიზს და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავს სასწავლო პროცესს.

ესთეტიკური აღზრდა:

დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ იყენებენ ზეპირ, წერილობით და სწრაფ (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები) განმავითარებელ შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

დაწყებითი საგნები:

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **საბუნებისმეტყველო:**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გადწყვეტენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა:

.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

სპორტი:

სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, წლიური მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. მონიტორინგის ანალიზის საფუძველზე აძლევს სკოლას საშუალებას შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გადწყვეტენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

ესთეტიკური აღზრდა:

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით ჩანს მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ.თუმცა ჩამოაყალიბებული მონიტორინგისა და შეფასების გარკვეულ სისტემის სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია და სამომავლოდ აქვს დაგეგმილი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები:

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, თუმცა სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტაცია
2. საგნობრივი კურიკულუმები
3. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო:**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. მასწავლებელი მუშაობს ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე, სასწავლო წლის დაწყებამდე. ახალ სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი - განახორციელონ კომპლექსური დავალებები და რამდენიმე (მაგალითად, სიის მიხედვით ყოველ მეხუთე მოსწავლის) მოცემულობა დეტალურად აღწერონ წინასწარ მომზადებული ფორმის გამოყენებით.

მათემატიკა:

შეფასებისას პედაგოგები ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს, საიდანაც შეიძლება მიიღონ ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების , მისი საჭიროებების შესახებ

საზოგადოებრივი მეცნიერებები:
.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით.(მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..)

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებული არიან მოსწავლის განვითარებაზე. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამრავალფეროვნებას გეგმავს მასწავლებელი.

ესთეტიკური აღზრდა:
შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე....შეფასების რუბრიკა გარდა ესთეტიკის კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმავითარებელი და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ

დაწყებითი საგნები:
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება

და გადაჭროს გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **საბუნებისმეტყველო:**

ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარიდან ვიგებთ, რომ შეფასების ეფექტიანად განსახორციელელად უნდა მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინება; შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

შეფასება ხორციელდეა მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

სპორტი:

მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ კვლევა და შეფასება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენას და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას ემსახურება. კათედრის წევრები საუბრობენ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინების შესახებ.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.

ესთეტიკური აღზრდა:

ზემოთაღნიშნული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.,თუმცან სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს .ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები:

ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები

და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **საბუნებისმეტყველო:**

მასწავლებლებთან წარმართული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალფეროვან მეთოდებზე და მონაცემებზე დაყრდნობით.

მათემატიკა:

შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვან მეთოდებზე, სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმრივი მიდგომით. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

შეფასებისას ძირითადად გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები: დირექციის, ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფის და მასწავლებლის უკუკავშირი.

სპორტი:

სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, გეგმავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებთ, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუირებისას წარმოჩინდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება მეტწილად ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებსა და მონაცემებზე დაყრდნობით.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები

მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. მეთოდები.

დაწყებითი საგნები:

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, მასწავლებლები სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, არაფორმალურ განათლებას, რაც მოსწავლეთა შესაძლებლობებს მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩენს. ეს კი საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **საბუნებისმეტყველო:**

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმიზმის პრონციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი.

მათემატიკა:

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. დასტურდება თვითსეფასების კითხვარით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

სპორტი:

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ძირითადად დამყარებულია ერთ ინსტრუმეტზე. აუცილებელია დიფერნცირებული მიდგომა, რადგან მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, ამისთვის კი უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტურმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

ესთეტიკური აღზრდა:

დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტივობა არა დაკვირვებადია არა მარტო სასკოლო სივრცეში,არამედ სკოლის მიღმაც,რათა სრული წარმოდგენა შეიექმნეს მათ პიროვნულ მახასითებლებზე მოქმედ გარეგან ფაქტორებზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

.პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი.

დაწყებითი საგნები:
წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემო, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, გააანალიზოს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარები, შეიმუშავოს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი და გამოავლინოს ამ უნარებზე მოქმედი ფაქტორები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

2. საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თნამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებელმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია.

მათემატიკა:

.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში ინიშნავენ მნიშვნელოვან განხორციელებულ აქტივობებს, რამაც თემაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა დაინტერესება და შედეგების გაუმჯობესება გამოიწვია. ქმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს; რაც დასტურდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემთა შეგროვება, რათა შემდგომ მოხდეს მისი დამუშავება და შედეგების გათვალისწინება.

სპორტი:

დაწესებულება ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითრებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნისას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინონ წინა წლების გამოცდილება, სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზიარება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თნამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებელმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია.

ესთეტიკური აღზრდა:

შეიმუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ერთი საგნის მაგალითზე. სასწავლო პროცესში გაგრძელდება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება. გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს,რაც ეხმარება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს წარმოქმნილი ტიპური პრობლემების გამოკვეთასა და ანალიზში.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დაწყებითი საგნები:

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების ანალიზის, მშობელთა ჩართულობის, კათედრების მუშაობისა და სკოლის დირექციის პრაქტიკის კუთხით.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილზე დაყრდნობით სკოლა ქმნის როგორც რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ასევე - რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საშუალებას მისცემს სკოლას წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შეადგინოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

მათემატიკა:

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში იყენებენ წინა წლის გამოცდილებას, ახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, ასევე მუშაობის პროცესში აღმოჩენილი მიგნებების ასახვას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში, რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

.საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის მიმდინარეობის დროს ხდება კურიკულუმის რევიზია და მიღებული შედეგების ანალიზს ისინი ითვალისწინებენ ახალ კურიკულუმზე მუშაობის დროს. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი.

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ ამ მიმართულებით პროცესების გაუმჯობესებას, ერთმანეთთან თანამშრომლობას, შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საშუალებას მისცემს სკოლას წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შეადგინოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ესთეტიკური აღზრდა:

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისა. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

დაწყებითი საგნები:

სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების, პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ასევე სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რის საფუძველზეც მოხდება წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინება კურიკულუმების გადამუშავების პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების კითხვარი,
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (სააბაზო საფეხური)	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**+შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას აქვს მომზადებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა მისი დამტკიცება მოხდა ვიზიტის დროს. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მათემატიკა

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მეთოდოლოგიაში მითითებულია ,რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სკოლის ფილოსოფიას. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

უცხო ენა

კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და შემდეგ კურიკულუმში ასახვა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება) კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ქართული ენა და ლიტერატურა :

კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სპორტი

დაწესებულების მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის განახლება იგეგმება ყოველწლიურად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, .შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,როგორც ასეთი ცალკე დოკუმენტის სახით მოცემული არ არის ,მაგრამ ჩაშენებულია ინდიკატორი თვითშეფასების დოკუმენტში,რაც მაძლევს საფუძველს მსგავსი დასკვნისა.ეს ასევე ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები,რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.სამომავლოდ იგეგმება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შედგენა და მკაფიოდ გაწერა სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, არსებობს გამჭვირვალე მექანიზმები, რომლის საშუალებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად იქმნება კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში საბაზო საფეხურზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტველებო :

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ საზოგადოების ჩართულობისა და თანამშორმლობის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ამიტომ კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

მათემატიკა;

საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესებს, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

უცხო ენა:

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოებ

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლა ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ქმნის ახალ კურიკულუმს, სადაც ასახულია წინა წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლა იყენებს საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის ფორმას და მის შედეგებს ასახავს ახალი კურიკულუმის შემუშავების დროს.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოება;

სპორტი;

საგნობრივი კათედრების მიერ კურიკულუმებში აისახა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსახორციელებელი საგნობრივი საკითხები. კომპლექსური დავალებები გაიწერა სკოლის ინფრასტრუქრურის გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რასაც მასწავლებლებთან გასაუბრებაც ადასტურებს. ყოველივე აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვიმსჯელოთ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადობის ინტერესები.

ესთეტიკური აღზრდა;

სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას,პროექტებს. სკოლას დაგეგმილი აქვს მასშტაბური სოციალური პროექტის განხორციელება,რომელის უშუალოდ ინიციატორი ესთეტიკის კათედრაა.სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს.კურიკულუმში ითვალისწინებს სასკოლო თემის თითოეული რგოლის მაქსიმალურ ჩართულობას,ძირითადი აქცენტი მოსწავლეზე და მისი საჭიროებებზეა გადატანილი.სკოლა პროცესს ხედავს დინამიკაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო:

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით. პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კურიკულუმში გათვალისწინებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხედვები.

მათემატიკა;

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.იგივე გამოიკვეთა საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც.

უცხო ენა:

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები. კათედრის წევრებს აქვთ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს, მიზნობრივ აქტივობებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს და სხვა. კათედრის სხდომებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება და შეთანხმება.

სპორტი:

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პრინციპები, სადაც იკითხება, რომ კურიკულუმი განვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ესთეტიკური აღზრდა:

კურიკულუმი მეტწილად შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ , რაშიც აქტიურად იყო ჩართული საბაზოსაფეხურის წარმომადგენელი პედაგოგები.ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას.უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში,სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული მისის წილი პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში.იქნება ეს სასწავლო პროცესი ,თუ მიზნობრივი არაფორმალური აქტივობები.ხდება აქტიური უკუკავშირი და თვითრეფლექსია. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულმი შემუშავებულია საბუნებისმეტყველო კათედრის წევრების მიერ, ურთიერთთანამშორმლობით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა ინფორმირების მიზნით მომავალში იგეგმება შეხვედრების ორგანიზება, სადაც მოხდება კურიკულუმების მშობლებისთვის გაცნობა. ჯერ-ჯერობით ასეთი აქტივობა არ ჩატარებულა. ასევე, იგეგმება თითოეული კომპლექსური დავალებისთვის მშობლის ბარათის შექმნა, რომელიც მშობლის ჩართულობას უზრუნველყოფს.

მათემატიკა:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც, თუმცა კურიკულუმის სრულყოფაზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და დასრულების შემდეგ გამოიყენებენ მითითებულ საკომუნიკაციო არხებს საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმის შესახებ და უკუკავშირის მისაღებად.

უცხო ენა :

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაში გაერთიანებული საგნების პროგრამები, აკადემიური კალენდარი, არაფორმარული განათლების სხვადასხვა საშუალებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის. ამისთვის სკოლა იყენებს სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში და სასკოლო მატერიალური სივრცეს.

სპორტი:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრება გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში მიმდინარე პროცესებს, დაგეგმილ სასკოლო აქტივობებს, სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციების გაზიარებას სკოლა სოციალური გვერდის საშუალებით ახდენს.

ესთეტიკური აღზრდა:

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის პედაგოგების მიერ მიწოდებული მშობელთა ბარათები დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციებით სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ.სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.გარდა ამისა, მოსწავლეებს უვითარდებათ სკოლისადმი მიკუთვნებულობა,რაც ერთი-ორად პროდუქტიულს და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.ა ქტიური ინფორმირება,უკუკავშირი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში მეტყველებს კურუკულუმის გაზიერებულობის ფაქტზე სასკოლო თემში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის.
2. *საბაზო საფეხურის კურიკულუმი მათემატიკაში*
3. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
4. *მასწავლებლებთან ინტერვიუები*
5. *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*
6. საგნობრივი კურიკულუმები: მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია
7. ინტერვიუს მონაცემები
8. კათედრის ოქმი
9. თვითშეფასების დოკუმენტი
10. კათედრის სხდომის ოქმი(ანგარიში)
11. ,შეფასების რუბრიკები,

12. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი,
13. საინფორმაციო დაფა,
14. ვებ გვერდის ლინკი,
15. მშობლის ბარათი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . **საბუნებისმეტყველო**

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, ისინი კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, კარგად იციან, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მისთვის ყველაზე მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები.

წარმოდგენილ კურიკულუმებში არ იყო ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, ვიზიტის მეორე დღეს ქიმიის მასწავლებელმა წარმოადგინა კურიკულუმები, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, გასულ სასწავლო წელს მათ იმუშავეს კომპლექსურ დავალებებით,

რომელთა შერჩევა და დაგეგმვა მოხდა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებზე მუშაობაც შედეგიანი აღმოჩნდა. მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისთვისაც გეგმავენ კოპლექსური დავალებების შერჩევას და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრებას, ასევე, კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შერჩევას. მასწავლებლებს არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გეგმავენ კათედრის წევრებთან ერთად მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისამდე შექმნან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო კათედრას, სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გათვალისწინებით, შერჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

მათემატიკა:

საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ ამ დროისთვის IX კლასში ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ ყველა კლასში გაწერენ კომპლექსურ დავალებებს რამოდენიმე თემაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები და აღნიშნეს რომ კურიკულუმი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და ცნებათა რუკის გამოყენებით აუცილებლად გაწერენ თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებებს ყველა კლასისთვის.

უცხო ენა :

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. მაგ., მე-9 კლასში, რუსულ ენაში, კომპლექსური დავალების ქვესაკითხების ჩამონათვალში ასახულია წერითი და ზეპირი მეტყველების ჟანრების სამი პროდუქტი, მაშინ როდესაც ძირითად საკითხად მითითებულია წერითი მეტყველების ჟანრის ერთი პროდუქტი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა.

უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

ქართული ენა და ლიტერატურა

კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გაერთიანებულ საგნების :ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: საგან მოქალაქეობაში შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს: სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; სამივე საგნის ფარგლებში 7-9 კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა სავალდებულო კომპონენტი თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. მოქალაქეობის კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითებს შედარებისთვის მაგ: თემა „თემი რომელშიც ვცხოვრობ“ საკითხი: ურთიერთობები ჩემს გარშემო,მუშავდება მიზნობრივად შერჩეულ კონტექსტ-მაგალითისა და მაგალითები შედარებისთვის საშუალებით ასევე მიზნობრივად მიემართება ცნებებს, საბოლოოდ იქმნება მოსწავლეთა ინტერესებზე გათვლილი და ორიენტირებული პროდუქტი- პოსტერი სახელწოდებით „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია თემში, საზოგადოებაში“. მოქალაქეობის მე-7 კლასის კურიკულუმებში ყველა თემაში არის დამუშავებული ყველა ცნება და მიზნობრივად არის მითითებული სასწავლო რესურსები. ჩემი რჩევა იქნება, მოქალაქეობის კურიკულუმის მსგავსად სრულად გაიწეროს ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ხოლო მოქალაქეობის კურიკულუმის დანერგვის დროს გამოყენებული იყოს იმაზე მეტად მრავალფეროვანი რესურსები, რაც ახლაა მოაზრებული. აგრეთვე შეირჩეს კონტექსტ

მაგალითები ქოუჩინგის პროცესში შეთავაზებული ქეისების ბანკიდან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ საკითხის უკეთ გააზრებას. მოქალაქეობის კურიკულუმში გარკვევით ჩანდეს რამდენი კომპლექსური დავალება მოიაზრება თემაში და კონკრეტულად რომელ ცნებებზე გადის.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. მასში გაწერილია საგნის გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, ქვეცნებები, საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმებზე მუშაობა თანამშრომლობით გარემოში წარიმართა, მასწავლებლების მიერ მოხდა სავალდებულო თემების შერჩევა, ყველა თემაში დაფარულია საგნის სამიზნე ცნებები. ყოველივე აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი, დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს.

ესთეტიკური აღზრდა:

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს:

2. საბუნებისმეტყველო:

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები რა აქტივობების ჩატარებას გეგმავენ წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, მაგრამ სკოლის დირექციამ გაითვალისწინა ექსპერტებთა რეკომენდაცია და გადაწყვიტა, უახლოს მომავალში გამოყოს ფართი და მოაწყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია/კაბინეტი.

მათემატიკა:

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით,რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით ,პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას.

უცხო ენა :

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხი, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, წარმოდგენილია თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული სასწავლო პროცესი იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე და გლობალური ფუნქციური უნარების -კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათისა და ნებელობის განვითარებაზე. მაგალითად, წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე,(სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება).

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედეგებს).

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საბაზო საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის.

საგანი მოქალაქეობა კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას.
კურიკულუმში მოცემეულია კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას; სკოლის თვითშეფასებაში ფიქსირდება შემდეგი ჩანაწერი ამ მიმართულებით რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას: სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტში, სწორედ ასეთი პროექტების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შემოქმედებით, კრიტიკული და უნარების განვითარება, ანუ ვააქტიურებთ მათ ფუნქციურ უნარებს.“
ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დადასტურდა სიღრმისეულად ეს მოცემულობა. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მასწავლებლები საუბრობდნენ პროექტული სწავლების გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე.
სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილი სამიზნე ცნებებით-გრძელვადიანი მიზნებით, შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხებით, ასევე ყველა თემაში განსაზღვრული სამივე სამიზნე ცნების დამუშავებით, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებზე გასვლას, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ესთეტიკური აღზრდა:

გლობალური ფუნქციური უნარების განვითარება, რომელიც გვეხმარება კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდაში, ჰოლისტური მიდგომა კი ეხმარება მოსწავლეს, თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, ხოლო მასწავლებლები, იყვნენ. ამ ცოდნის მხარდამჭერები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შედგენილი საგაკვეთილო გეგმები და კომპლექსური დავალებები ეხმარება პედაგოგებს სამიზნე ცნებების დაძლევასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. ყოველივე ეს ვლინდებაროგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სწავლების სახეობებში.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკაშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ დიფერენცირებულ მიდგომებზე, მოჰყავთ მაგალითები და აღნიშნავენ, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული სწავლება, გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. როგორც გაირკვა, სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, მათთვის სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული საგნისთვის, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლის პროცესი სასწავლო წლის განმავლობაში. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს მათთვის მომზადებული აქვთ გამარტივებული სასწავლო აქტივობები.

მათემატიკა:

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, რისი ასახვაც ხდება კომპლექსური დავალების პირობის პროცესში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

უცხო ენა

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერი, პრეზენტაცია, ბუკლეტი და სხვა. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები. კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

თვითშეფასებაში ჩანს გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების პრინციპების, ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით.

ვურჩევდი დიფერენცირებული მიდგომების უფრო მეტად გათვალისწინებას მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალებების პროდუქტის შეთავაზების დროს. მოსწავლეებს რომ შეეძლოთ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით არჩევანის გაკეთება.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის გათვალისწინებული იყო დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობდა მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს მსაჯობა, საორგნიზაციო საკითხები და სხვა. გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითა წარმოდგენილი და ითვალისწინებს ფესტივალს, პროექტის მომზადებას, ბუკლეტის დამზადებას, კონფერენციის მოწყობას, მოსწავლეებს მიცემს საშუალებას გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები სხვადსხვა კონტექსტში.

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესში მეტწილად გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა,ასევე გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები.ითოეული

მოსწავლე აღქმულია,როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით.იგეგმება სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა კათედრების ურთიერთთანამშრომლობით.მიუხედავად იმისა,რომ საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლეები არ ირიცხება,საბაზო საფეხურზე საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით გამოთქვავენ მზაობას როგორც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების,ასევე კომპლექსური დავალებებისა და აქტივობების ადაპტირებისათვის. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო;

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მიმართულია გრძელვადიანი მიზნისკენ, მართვადია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, საკითხთა კლასტერის, სემესტრის, წლის დასასრულს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, რომელსაც მასწავლებელი ადგენს თითოეული შესაფასებელი აქტივობის შესაბამისად. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით აკონტროლებენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის და საჭიროებების დასადგენად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები აგროვებენ მოსწავლის შესახებ მონაცემებს, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება და თითოეულ მოსწავლეზე მორგება. ზეპირ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლები აკეთებენ თითქმის ყოველი აქტივობის შემდეგ, ხშირად აკეთებენ გაკვეთილის ბოლოს განმსაზღვრელ შეფასებას ყოველი მოსწავლისთვის. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. სამწუხაროდ, მასწავლებელმა ვერ წარმოგვიდგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მაგრამ მოგვახსენა, რომ მომავალი წლის დასაწყისისთვის გეგმავს რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ყველა რუბრიკას მოარგებს სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

მათემატიკა:

სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, მათემატიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე

დოკუმენტებში წარმოდგენილი არის სანიმუშო რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა, კლასის თითოეული სავალდებულო თემის მიხედვით, სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონტექსტის გათვალისწინებით.

უცხო ენა:

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები, თუმცაღა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი. მათ აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში, მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. საბაზო საფეხურზე სამივე საგანში წარმოდგენილია ერთ-ერთი, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. რუბრიკების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან, განმავითარებელი შეფასების დროს, ხოლო ცნებებიდან და შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან , განმსაზღვრელი შეფასების დროს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

ჩემი რჩევა იქნება, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში მოაზრებული ყველა კომპლექსური დავალებისთვის, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ბოლოს.

ქართული ენა და ლიტერატურა

კათედრამ წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

სპორტი:

წარმოდგენილი კათედრის ოქმიდან და მასწავლებლების გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე დგინდება, საბაზო საფეხურზე გამოიყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას ჩათვლის სახით. სასწავლო პროცესში ყოველთვის ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა ერთი თემიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება საგნის სამიზნე ცნებებზე - გრძელვადიან მიზნებზე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს საგნობრივ საკითხებთან მიმართებაში. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში დაიხვეწება და შემუშავდება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე.

ესთეტიკური აღზრდა

მუსიკისა და ხელოვნების საგნის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმა მათთვის იყო შედეგების მიღწევის ტაქსონომია. ტაქსონომიით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ასევე პედაგოგებს აძლევს საშუალებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმონ სხვადასხვა სტრატეგიები და აქტივობები.სამომავლოდ დაიგეგმა შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თითოეული თემის ფარგლებში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო:

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მცირე გამოცდილება, რადგან ეს სკოლა არ არის ახალი სკოლის მოდელში პირველ ეტაპზე ჩართული სკოლა (ჩართულია 2022-2023 სასწ. წლიდან), გაითვალისწინებენ წინა წელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გამოვლენილ ხარვეზებს, ჩაამატებენ მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამის აქტივობებს, მისცემენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ პრეზენტაცია. ეს გაზრდის მოსწავლეების ინტერესს, განიხილავენ კათედრაზე

საკუთარ გამოცდილებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს უნარების წარმოჩენასა და განვითარებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნიან მომავალ კურიკულუმს.

მათემატიკა:

დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პედაგოგები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხო ენა

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რომ აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცეს და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამავე დროს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება(ძირითადად ზეპირსიტყვიერად), ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა - მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ერთმანეთთან თანამშრომლობამ და მშობელთა წინასწარმა ინფორმირებამ კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები.

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ქართული ენა და ლიტერატურა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასუბრებისა გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ეყრდნობოდნენ წინარე გამოცდილებას, პრაქტიკული სწავლებისას აღიარებული იყო მეთოდი, ხერხი, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებელთა შერჩეული იყო ისეთი თემები, როლებმაც სპორტულ ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში წარმატება მოიტანა. ხოლო კურიკულუმების გადამუშავებისას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება ისეთი სპორტის სახეობების დამატება, რომლის განხორციელების პრაქტიკა სკოლას აქვს და რომელმაც წარმატება მოუტანა.

ესთეტიკური აღრზდა:
როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე ესთეტიკის კათედრა საბაზო საფეხურზე ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმი მათემატიკაში
4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
5. თვითშეფასების კითხვარი
6. მასწავლებელთა ინტერვიუები
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმები სპორტში

8. შეფასების რუბრიკა
9. ინტერვიუს მონაცემები
10. კათედრის ოქმი
11. თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო:

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც ასევე იკვეთება ინტერვიუდან. კერძოდ, სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს მომავალში შესთავაზოს კომპლექსური დავალებები, ასევე პროექტული, ინტეგრირებული მიმართულების ტიპის დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

მათემატიკა;

ვინაიდან, საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, რაც მისცემს მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძებლობას. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.

უცხო ენა

წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. საბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული სხვადასხვა შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. მაგ., რუსული ენა - ბუკლეტის შექმნა გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების შესახებ , ინგლისური ენა- საგაზეთო სტატია ბულინგის შესახებ . ამას გარდა, მაგალითები შედარებისთვის შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის,

მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. მაგალითისთვის მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა. ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით , ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა;

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა საბაზო საფეხურზე ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამგვარი სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სპორტი:

სკოლის მიერ მოწოდებული სოციალური გვერდიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთათვის საყვარელ სპორტის სახეობებში ფესტივალს, მოძრავ თამაშებს მოიაზრებს უფრო მეტად გააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და რაც მათ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობასაც გაზრდის.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, რომელიც თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს. მოსწავლეებისათვის ხელშეწყობის მიზნით პედაგოგების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება ხდება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ამთვალსაზრისით ხაზს გავუსვამ მეშვიდე კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებას. პრეისტორია-გრაფიტის მხატვრები“, სადაც მოსწავლეებმა მრავალფეროვნად გამოავლინეს შემოქმედებითი უნარები.

. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, მასწავლებლები ეცდებიან მეცნიერული კუთხით დაანახონ და გააზრებინოს კონტექსტმაგალითში წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ცდილობს გაამდიდროს კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით, რადგან მესამე თაობის ესგ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსურ დავალებებს მიიჩნევს, რომლებიც განხორციელების გზების მოძიების საფუძველს წარმოსდგენს.

მათემატიკა:

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ჯერჯერობით ნაწილობრივ გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, ამ ტიპის დავალების შესრულება კი გულისხმობს ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურებას.

უცხო ენა:

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. სავალდებული თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საბაზო საფეხურზე საგან მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია საგნობრივ კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში

დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ.

ქართული ენა და ლიტერატურა;

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხორციელდებოდეს. არჩეული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული და მოსწავლის ცოდნის კუნსტრუირების შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო პროცესი მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპისკენაა მიმართული და მოსწავლეებს ეხმარება მიღებული ინფორმაციის ცოდნათ გარდაქმნაში.

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპით ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. კომპლექსურ დავალებეამდე მისასვლელი აქტივობები სწორედ ამ გზას ასახავს. სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგებს შეაქვთ ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებული დავალებები,რათა შეძლონ მიღებული ცოდნის ტრანსფერის განხორციელება.

ინდიკატორი შეესაბამება;

3. საბუნებისმეტყველო

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, ცნობისმოყვარეობა და მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისდება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი

კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების დოკუმენტში. აგრეთვე მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრების დროს ისინი აღნიშნავდნენ რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს, ზრუნავენ რომ მოსწავლე ჩართული იყოს ცოდნის სტილის შერჩევის პროცესში. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესი სამივე საგანში.

ქართული ენა და ლიტერატურა;

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, კათედრის წევრები უზრუნველყოფს სწავლის სწავლას.

სპორტი:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებიდან გამომდინარე სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლე რეფლექსიის საფუძველზე შეძლებს სწავლების სწავლის პოოცესი აქტიური გახადოს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე.

ესთეტიკური აღზრდა:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გლობალური-ფუნქციური უნარების და მოსწავლეთა

მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და თვითრეფლექსია. პედაგოგები ასევე ითვალისწინებენ მსწავლელთა ტიპებს, რითაც ხელს უწყობენ მათ დამოუკიდებელ მსწავლელებად ჩამოყალიბებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. კურიკულუმის სრულყოფის მიზნით კომპლექსური დავალებების პირობები შეიქმნება ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინებით.

მათემატიკა:

საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კომპლექსური დავალების გამოყენებით, ასეთი დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნა გადაიზარდოს პირობისეულ ცოდნაში

უცხო ენა:

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომელბიც ეყრდნობა ცოდნის სამ

კატეგორიას. აგრეთვე,გასაუბრების დროს გააკეთეს აქცენტი მასწავლებლებმა მრავალფეროვანი აქტივობებით წარმართულ სასწავლო პროცესზე, პროექტული სწავლების დაგეგმვასა და წარმართვაზე. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის დანერგვის დროს დიდი ყურადღება მიექცევა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

ქართული ენა და ლიტერატურა:

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან.

სპორტი:

საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ფარგლებში განსახორციელებელი სპორტული ფესტივალი, პროექტული სწავლება, კონფერენციები ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. კურიკულუმებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ფარგლებში დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნა მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებისასს გადააქვთ პრაქტიკაში.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რაზეც მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო;

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს,

რომ შერჩეული დავალებები მოსწავლისთვის უცხო არ არის. ისინი ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს არის ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნის წინაპირობა.

მათემატიკა:

მათემატიკის მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თუმცა მცირე მცდელობების გარდა მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. აღნიშნეს, რომ დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთ დაკავშირება და გამოყენება.

უცხო ენა:

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. მაგალითად, ინგლისური ენის მე-9 კლასის დავალების პირობა ასეთია „ დაწერე ესე რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს რობოტი მასწავლებლის ყოლას.“ მოცემული დავალება ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია,

რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

ქართული ენა და ლიტერატურა:

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეეებს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზეა ორიენტირებული. სამიზნე ცნებების ფარგლებში გაწერილი ქვეცნებების როგორიცაა მაგალითად უსაფრთხოება სპორტულ მოედანსა თუ დარბაზში, ინდივიდუალური უსაფრთხოების ზომები, თუ ძირითადი წესების ცოდნის გამოყენება და პრაქტიკაში გადატანა ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. სამიზნე ცნების - ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში დაგეგმილი ჯანსაღი კვებისა თუ ჰიგიენის საკითხების დამუშავება მოსწავლეებს საშუალებას მიცემს ცოდნის ორგანიზებასა და საგანთა შორის ურთიერთდაკავშირებაში.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. სასკოლო სასწავლო გეგმა

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები მათემატიკაში
4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები
6. საგნობრივი კურიკულუმები: მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია
7. ინტერვიუს მონაცემები
8. თვითშეფასების დოკუმენტი
9. კომპლექსური დავალებები,
10. სასწავლო აქტივობები,
11. პროექტები,
12. ღონისძიებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო;

წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოავლინეს ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლება აქცენტები გააკეთეს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მათემატიკა:

საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ნაწილობრივ აქვთ გაწერილი კომპლექსური დავალებები(IXკლასში ერთი კომპლექსური დავალება), საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ , თუმცა დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები,რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

უცხო ენა:

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ქვეცნებების ჩამონათვალი შეუსაბამო გრაფაშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმის აღქმას, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებშიმკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზიდან იკითხება, რომ რომ მომავალი წლიდან სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თუ სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე შერჩეული თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. შემუშავებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითაა წარმოდგენილი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასას და გათავისებას

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.ამას ადასტურებს ჩემს მიერ გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები.გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის.სამომავლოდ იგეგმება კომპლექსური დავალების რეფლექსიის ფორმის დახვეწა,რაც მისასალმებელია.თუმცა აქვე ვიტყვი,რომ ნიმუშებად წარმოდგენილია თითო თემა და აქტივობები ამ თემის ფარგლებში.სექტემბრისთვის იგეგმება ყველა თემის გაწერა

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო:

წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმებში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მათემატიკა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საბაზო საფეხურის მათემატიკის მიმართულებით შერჩეულია (IXკლასში ერთი კომპლექსური დავალება)ინტერვიუს დროს კი პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში შეიტანენ საინტერესო დავალებებს, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;რაც ასევე დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარშიც.

უცხო ენა:

 წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის და საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და

სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“).

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ქართული ენა და ლიტერატურა:

კერძოდ, კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი, რომელიც მომავალი წლიდან იგეგმება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იქნება მორგებული. ყველა თემაში გაწერილი სამიზნე ცნების ორგანიზებულობა და თვითკონტროლის ფარგლებში გაწერილი ქვეცნებები, საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი, გუნდური უნარების ჩამოყალიბებას, სტრესული და კონფლიქტურ სიტუაციების გამკლავებასა და ემოციების მართვაში.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებაში. განსაკუთრებით გამოვყოფდი ხელოვნებასა და მუსიკაში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებს მეშვიდე კლასებსი, რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება. საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

გასაუბრებისას მასწავლებლებმა ბრძანეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხერხდეს მოსწავლის პიროვნული განვითარება. ამიტომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, მოსწავლის ყოველდღიურობასთან განუყოფლად. შეფასებისას ცდილობენ გამოავლინონ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცენ მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის

გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებენ წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. სამწუხაროდ, მასწავლებლებმა ვერ წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეების შეფასებისას იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობენ შესაბამისი საგნობრივი სტანდარტით. გამიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც აღნიშნეს, ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

მათემატიკა:

საბაზო საფეხურის მათემატიკის მასალებში წარმოდგენილი არის განმავითარებელი შეფასებისთვის რუბრიკის ნიმუში. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით სთავაზობენ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნული ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს - ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. რჩევის სახით მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით

უცხო ენა :

საბაზო საფეხურის კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების

რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. სამივე საგანში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას.

ქართული ენა და ლიტერატურა:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა;

სპორტი:

მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება მარტო სწავლის შედეგებს კი არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ იმასა თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი და რომ ის მოსწავლის წინსვლზე უნდა იყოს ორიენტირებული. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე იქნება მიმართული

ესთეტიკური აღზრდა:

მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას კათედრაზე გამოყენებულია განმავითარებელ შეფასება სტანდარტის შედეგებზე და შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. საკმაოდ აქტიურია უკუკავშირი პედაგოგთა მხრიდან,რაც ცოდნის პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო;

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები. მათ არ აქვთ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, თუმცა პირადი საუბრისას გაირკვა, რომ ისინი ამჟამად მუშაობენ ამ რუბრიკების შექმნაზე, სადაც ასახული იქნება, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება, იციან, როგორ უნდა შეარჩიონ შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმევენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

მათემატიკა;

სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნავენ ,რომ პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; სწორედ ამიტომ , როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, შეფასების რუბრიკების შექმნაში ჩართავენ მოსწავლეებსაც და იგი წინასწარ იქნება ცნობილი მოსწავლეებისთვის.

უცხო ენა:

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება.

ქართული ენა დალიტერატურა;

კათედრა შეფასების სისტემას სასწავლო პროცესში გამოყენებს და იზრუნებს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.

სპორტი:

კათედრასთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა მხრიდან სასწავლო პროცესში სიტყვიერი განმავითარებელი შეფასებას გამოიყენებდნენ, სემესტრის ბოლოს და ასევე შემაჯამებელი დავალებას განმსაზღვრელი შეფასება ჩათვლების სახით იწერებოდა. ამ ეტაპზე სკოლამ სტანდარტზე დაყრდნობით წარმოადინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ერთი კონკრეტულ თემაზე კერძოდ მძლეოსნობაზეა მორგებული და განმარტებულია რომელ სამიზნე ცნებებზე როგორ მოხდება მოსწავლის შეფასება. კათედრიდან იკვეთება მზაობა შემუშავდეს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,

რომელიც შესაბამისობაში იქნება ესგ სტანდარტებთან და რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს აკონტროლოს სწავლის პროცესი რის მიხედვით და როგორ შეფასდება.

ესთეტიკური აღზრდა:

როგორც დოკუმენტიდან ჩანს დირექციის და პედაგოგთა ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაშიც მათ ეხმარება მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისსათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან,როგორ ფასდებიან,და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. იგეგმება სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების უფრო დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრის წარმომადგენლებს აქვთ ჩვენს მიერ ზოგადი რუბრიკები,რომელსაც მოარგებენ კონკრეტულ საკითხებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო ;

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, საბაზო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგები ორივე სემესტრის ბოლოს ატარებენ შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებენ ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები.

მათემატიკა

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, რომელიც არის მოსწავლის მიღწევების ანალიზი, პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს, რაც ნათლად ასახავს თითოეული კლასის ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოკვეთს იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელია შედეგების გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც.

უცხო ენა;

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საზოგადოებღივი მეცნიერებები;

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის განვითარების და მხარდაჭერი მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სპორტი:

დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერაზე, ხოლო შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაზეა ორიენტირებული. სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობობის დოკუმენტი

ესთეტიკური აღზრდა;

კათედრაზე ხდება გამოყენებული შეფასების სისტემის რეფლექსია და ანალიზი, დაფუძნებული კონკრეტულ შედეგებზე. ვიმედოვნებ არჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი პედაგოგებს საკმაოდ დაეხმარება. ვერიფიკაცია გვაწვდის ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლას დრო და რესურსები სჭირდებათ, ამიტომ მომავალში ამ მხრივ დაიგეგმება მუშაობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. საბუნებისმეტყველო

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტების წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შენახულია და სათანადოდ აღრიცხულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები არანაკლებ 3 წლის ვადით.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც

უცხო ენა:

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხელმისაწვდომია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. სკოლა არსებული წესის თანახმად აწარმოებს და ინახავს დოკუმენტებს.

სპორტი:

სკოლის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის დოკუმენტი არის წარმოდგენილი .

ესთეტიკური აღზრდა;

სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ). ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია დადგინდეს, რომ სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კლიმატით მაღალი მიმღებლობით, თანამშრომლობით. ითვალისწინებენ მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების იდეებს, მიესალმებიან მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში გაწერილი აქვთ თუ როგორ შეიძლება შექმნან სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; რაც ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს

უცხო ენა ;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმ საჭიროებების შესაბამისი) კათედრები ურთიერთთანამსრომლობენ ერთმანეთთან და სხვა...

ესთეტიკური აღზრდა

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე. ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება, როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მიღებული გადაწყვეტილება. პრიორიტეტულია ჯგუფური მუშაობის პრინციპი.

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო. სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება თანამშრომლურ გარემოში. გამოცდილების გაზიარება, ახალი გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, სკოლის სასწავლო გეგმის, თუ მისისისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლებლები ერთობლივად თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ქმნიან ეფექტურ გარემოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებისთვის.

მათემატიკა;

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად; რას გულისხმობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულობა და რა ხერხებით უნდა მიაღწიონ ამას , კარგად აქვთ აღწერილი სკოლის თვითშეფასების კითხვარში.

უცხო ენა:

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რომელიც მიმართულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე.

სპორტი:

სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერსების გათვალისწინებით, მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შეთავაზება, თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე გაწერილი სასწავლო აქტივობები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასევე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარეობს

ესთეტიკური აღზრდა;

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შექმნაზე. მასწავლებელი უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს. წახალისებულია მოსწავლის ჩართულობა,იგი თავისი ცოდნის წარმმართველია და ამ პროცესში უვითარდება გამჭოლი უნარები

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს, მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წარმოდგენილია კათედრების, სამუშო შეხვედრების, დამრიგებლების ოქმები.

მათემატიკა

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამრომლობა და გუნდურობა არის ის მნიშვნელოვანი
პლატფორმა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას
ასწავლო პროცესში. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების კითხვარშიც.

უცხო ენა;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა.

სპორტი:

მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრებზე წევრთა შორის მუდმივად ხდება თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება , წარმატებების განსაზღვრა, პრობლემის იდენდიფიცირება და მისი გადაჭრის ერთობლივი გზების ძიება.

ესთეტიკური აღზრდა:

ესთეტიკის კათედრაზე საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში, ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება დ ა ერთობლივი განხილვა-რეფლექსია. გუნდური მუშაობის პრინციპი გადამწყვეტ როლს თამაშობს სასკოლო ცხოვრებაში, მცირე კონტინგენტიანობაც ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო;

ინტერვიუს დროს იკვეთება სკოლისმიერ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ასევე თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები იძლევა საშუალება ს ვტქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მათემატიკა

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

უცხო ენა

.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. არსებობს თანამშრომლობითი კულტურა, წახალისებულია პროექტები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მორალური ფასეულობების დამკვიდრებას. ჩემი რჩევა იქნება პოზიტიური სასკოლო გარემოს შესაქმნელად მოხდეს უფრო მეტად მოსწავლეთა ნიციატევის წახალისება და მათი მონაწილეობის ხარისხის გაზრდაზე ორიენტირებული ატივობების/პროექტების დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება.

სპორტი:

თანამშრომლობითი კავშირები, სასკოლო გარემოში აღიარება, პატივისცემა, ნდობა, ზრუნვა სკოლის განვითარებაზე პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლის ინტერვიურების შედეგებიდან სწავლა სწავლების ხარისხზე ზრუნვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, პროექტებში, სასკოლო ოლიმპიადებსა თუ სპორტულ აქტივობებში დაჯილდოება/წახალისება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას სკოლისა და კლასის დონეზე.

ესთეტიკური აღზრდა;

არსებობს სასკოლო კლიმატის 5 განზომილებიანი მოდელი: უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციური გარემო, როგორც ავთენტურ სივრცეს სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოზიტიურ კლიმატს მოსწავლი ფსიქო- ემოციურ განვითარებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმი
2. შეფასების კრიტერიუმები;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. სკოლის შინაგანაწესი

5. სასაწვლო გეგმა

6. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმტაციით.

მათემატიკა

ვინაიდან ამჯერად იმყოფებიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნის შემდეგ შეიმუშავებენ მონიტორინგის მეთოდოლოგიას გარკვეული ნაბიჯების გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება, ასევე სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია.

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შემუშავებისას განსაზღვრულია მონიტორინგის მეთოდები და შეფასების კრიტერიუმი. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას (უფროსს მათ შორის კომპლექსურების განხორციელებისას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარით და მასწავლებელთა ინტერვიუებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი

ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.

სპორტი:

სკოლა ზრუნავს, რომ მონიტორინგი და შეფასება მასწავლებლის კონტროლს კი არა, არამედ მხარდაჭერას ემსახურებოდეს. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მოიცავს მიღწევების ანალიზს და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავს სასწავლო პროცესს.

ესთეტიკური აღზრდა:

საბაზო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ განმსაზღვრელ, ზეპირ, წერილობით და სწრაფ (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები) განმავითარებელ შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გადწყვეტენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

სპორტი:

სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, წლიური მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. მონიტორინგი ანალიზის საფუძველზე აძლევს სკოლას საშუალებას შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ესთეტიკური აღზრდა;

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით ჩანს მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. თუმცა ჩამოაყალიბებული მონიტორინგისა და შეფასების გარკვეულ სისტემის სკოლას არ გააჩნია და სამომავლოდ აქვს დაგეგმილი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. სკოლის თვითშეფასების კითხვარი
3. ინტერვიუები
4. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბუნებისმეტყველება

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებული არიან მოსწავლის განვითარებაზე. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამრავალფეროვნებას გეგმავს მასწავლებელი.

მათემატიკა:

.მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას პედაგოგები ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს, საიდანაც შეიძლება მიიღონ ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების , მისი საჭიროებების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით.(მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..)

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

ესთეტიკური აღზრდა:

შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასების რუბრიკა გარდა ესთეტიკის კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმავითარებელი და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა. შ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველებო;

ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.

მათემატიკა

.თვითშეფასების კითხვარიდან ვიგებთ, რომ შეფასების ეფექტიანად განსახორციელელად უნდა მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინება; შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთონ მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. ეს ასევე გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოეების გათვალიწინებას, რომელსაც შესძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. პედაგოგებთან ინტირვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია, როგორც ადმინისტრაცია ასევე სკოლის პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავას პროცესის გაუმჯობესების გზებს.

სპორტი:

მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ კვლევა და შეფასება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენას და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას ემსახურება. კათედრის წევრები საუბრობენ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინების შესახებ.

ესთეტიკური აღზრდა:

ზემოთაღნიშნული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველებო;

ინტერვიურებისას წარმოჩინდა, რომ წსასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთიდებიდა და მონაცემებზე დაყრდნობით.

მათემატიკა

.შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვან მეთოდებზე, სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმრივი მიდგომით. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით

საზოგადოებრივი მეცნიერებები

.შეფასებისას ძირითადად გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები: დირექციის, ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფის და მასწავლებლის უკუკავშირი. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესების შესაფასებლად გამოიყენება მრავლფეროვანი მექანიზმი. მაგ : სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული გამოკითხვები და გასაუბრებიბი, მასწავლებლების მიერ მომზადებული დასკვნებისა და რეფლექსიების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლა, წლიური ანგარიშების შესწავლა და შემდეგი ანალიზი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შემდეგი სასწავლო წლისათვის იმის დასადგენად თუ რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს გამოიყნეოს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი.

სპორტი

სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, გეგმავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებთ, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საბაზო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. მეთოდები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას ასევე გავალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი.

მათემატიკა

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. დასტურდება თვითსეფასების კითხვარით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

სპორტი:

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ძირითადად დამყარებულია ერთ ინსტრუმეტზე. აუცილებელია დიფერნცირებული მიდგომა, რადგან მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, ამისთვის კი უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტურმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

ესთეტიკური აღზრდა:

საბაზო საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტივობა არა დაკვირვებადია არა მარტო სასკოლო სივრცეში, არამედ სკოლის მიღმაც, რათა სრული წარმოდგენა შეიექმნეს მათ პიროვნულ მახასითებლებზე მოქმედ გარეგან ფაქტორებზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. ინტერვიუს მონაცემები
3. თვითშეფასების დოკუმენტი
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თნამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებელმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია.

მათემატიკა;

.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში ინიშნავენ მნიშვნელოვან განხორციელებულ აქტივობებს, რამაც თემაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა დაინტერესება და შედეგების გაუმჯობესება გამოიწვია. ქმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს; რაც დასტურდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემთა შეგროვება, რათა შემდგომ მოხდეს მისი დამუშავება და შედეგების გათვალისწინება.

სპორტი

დაწესებულება ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითრებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნისას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინონ წინა წლების გამოცდილება, სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზიარება.

ესთეტიკური აღზრდა

შემუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ერთი საგნის მაგალითზე. სასწავლო პროცესში გაგრძელდება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება. აქტიურად იყენებენ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს,რაც ეხმარება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს წარმოქმნილი ტიპური პრობლემების გამოკვეთასა და ანალიზში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საშუალებას მისცემს სკოლას წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შეადგინოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში იყენებენ წინა წლის გამოცდილებას, ახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, ასევე მუშაობის პროცესში აღმოჩენილი მიგნებების ასახვას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში, რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

.საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის მიმდინარეობის დროს ხდება კურიკულუმის რევიზია და მიღებული შედეგების ანალიზს ისინი ითვალისწინებენ ახალ კურიკულუმზე მუშაობის დროს. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი.

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ ამ მიმართულებით პროცესების გაუმჯობესებას, ერთმანეთთან თანამშრომლობას, შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის ბოლოს საბაზო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისა. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
3. თვითშეფასების კითხვარი
4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **საბუნებისმეტყველო**

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას აქვს მომზადებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა მისი დამტკიცება მოხდა ვიზიტის დროს. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მათემატიკა

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მეთოდოლოგიაში მითითებულია ,რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სკოლის ფილოსოფიას. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

უცხო ენა

კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ქართული ენა ლიტერატურა

კურიკულუმის შემუშავების წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლას აქვს გაწერილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია , სადაც ასახულია თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და შემდეგ კურიკულუმში ასახვა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება) კურიკულუმის შემუშავების დროს უმეტესად გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის განახლება იგეგმება ყოველწლიურად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და პრრიორიტეტებს.

ესთეტიკური აღზრდა:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,როგორც ასეთი ცალკე დოკუმენტის სახით მოცემული არ არის ,მაგრამ ჩაშენებულია ინდიკატორი თვითშეფასების დოკუმენტში,რაც მაძლევს საფუძველს მსგავსი დასკვნისა.ეს ასევე ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები,რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.სამომავლოდ იგეგმება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შედგენა და მკაფიოდ გაწერა სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე. არსებობს გამჭვირვალე მექანიზმები, რომლის საშუალებითაც პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.ე.წ. მშობელთა ბარათების მეშვეობით უზრუნველყოფილია მშობელთა ჩართულობაც ამ პროცესში. სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად იქმნება კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ საზოგადოების ჩართულობისა და თანამშორმლობის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ამიტომ კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

მათემატიკა:

საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესებს, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

უცხო ენა:

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოება;

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში მონაწილებდა სასკოლო საზოგადოება;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

.სკოლა ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ქმნის ახალ კურიკულუმს, სადაც ასახულია წინა წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლა იყენებს საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის ფორმას და მის შედეგებს ასახავს ახალი კურიკულუმის შემუშავების დროს.

სპორტი:

საგნობრივი კათედრების მიერ კურიკულუმებში აისახა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსახორციელებელი საგნობრივი საკითხები. კომპლექსური დავალებები გაიწერა სკოლის ინფრასტრუქრურის გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რასაც მასწავლებლებთან გასაუბრებაც ადასტურებს. ყოველივე აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვიმსჯელოთ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადობის ინტერესები.

ესთეტიკური აღზრდა;

სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტებს. სკოლას დაგეგმილი აქვს მასშტაბური სოციალური პროექტის განხორციელება, რომელის უშუალოდ ინიციატორი ესთეტიკის კათედრაა. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს.

კურიკულუმში ითვალისწინებს სასკოლო თემის თითოეული რგოლის მაქსიმალურ ჩართულობას,ძირითადი აქცენტი მოსწავლეზე და მისი საჭიროებებზეა გადატანილი.სკოლა პროცესს ხედავს დინამიკაში

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო ;

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით. პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კურიკულუმში გათვალისწინებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხედვები.

მაათემატიკა;

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.იგივე გამოიკვეთა საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან.

უცხო ენა;

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები. კათედრის წევრებს აქვთ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს, მიზნობრივ აქტივობებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს და სხვა. კათედრის სხდომებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება და შეთანხმება.

სპორტი:

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პრინციპები, სადაც იკითხება, რომ კურიკულუმი განვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ , რაშიც აქტიურად არიან ჩართული დაწყებითი საფეხურის წარმომადგენელი პედაგოგები.სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრსა აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში.ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას.უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში,აქტიური უკუკავშირი მათთან,იქნება ეს სხვადასხვა კვლევებში თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში მათი უშუალო თანამონაწილეობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულმი შემუშავებულია საბუნებისმეტყველო კათედრის წევრების მიერ, ურთიერთთანამშორმლობით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა ინფორმირების მიზნით მომავალში იგეგმება შეხვედრების ორგანიზება, სადაც მოხდება კურიკულუმების მშობლებისთვის გაცნობა. ჯერ-ჯერობით ასეთი აქტივობა არ ჩატარებულა. ასევე, იგეგმება თითოეული კომპლექსური დავალებისთვის მშობლის ბარათის შექმნა, რომელიც მშობლის ჩართულობას უზრუნველყოფს.

მათემატიკა

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც, თუმცა კურიკულუმის სრულყოფაზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და დასრულების შემდეგ გამოიყენებენ მითითებულ საკომუნიკაციო არხებს საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმის შესახებ და უკუკავშირის მისაღებად.

უცხო ენა :

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ქართული ენა და ლიტერატურა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაში გაერთიანებული საგნების პროგრამები, აკადემიური კალენდარი, არაფორმარული განათლების სხვადასხვა საშუალებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის. ამისთვის სკოლა იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში და სასკოლო მატერიალური სივრცეს.

სპორტი:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრება გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში მიმდინარე პროცესებს , დაგეგმილ სასკოლო აქტივობებს, სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციების გაზიარებას სკოლა სოციალური გვერდის საშუალებით ახდენს.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის პედაგოგების მიერ მიწოდებული მშობელთა ბარათები დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციებით, სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ.სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს მიკუთვნებულობის განცდა,რასაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმირება სასკოლო სივრცეში მომხდარ თითოეულ სიახლეზე, აქტიური უკუკავშირი მათთან და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის.
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
3. ინტერვიუს მონაცემები
4. კათედრის ოქმი

5. თვითშეფასების დოკუმენტი
6. მშობლის ბარათი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო**

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, ისინი კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, კარგად იციან, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მისთვის ყველაზე მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები.

წარმოდგენილ კურიკულუმებში არ იყო ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, ვიზიტის მეორე დღეს ქიმიის მასწავლებელმა წარმოადგინა კურიკულუმები, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, გასულ სასწავლო წელს მათ იმუშავეს კომპლექსურ დავალებებით, რომელთა შერჩევა და დაგეგმვა მოხდა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებზე მუშაობაც შედეგიანი აღმოჩნდა. მასწავლებლები მომავალი სასწავლო

წლისთვისაც გეგმავენ კოპლექსური დავალებების შერჩევას და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრებას, ასევე, კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შერჩევას. მასწავლებლებს არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გეგმავენ კათედრის წევრებთან ერთად მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისამდე შექმნან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო კათედრას, სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გათვალისწინებით, შერჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

მათემატიკა

საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის არ აქვთ ამ ეტაპზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ გეგმავენ საინტერესო დავალებების შერჩევას, რომელიც აგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ ყველა კლასში გაწერენ კომპლექსურ დავალებებს რამოდენიმე თემაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები და აღნიშნეს რომ კურიკულუმი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და ცნებათა რუკის გამოყენებით აუცილებლად შეიტანენ კორექტირებას თითოეული თემის სამიზნე ცნების ქვეცნებების განსაზღვრაში .

უცხო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების ჩამონათვალი, თუმცა პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისური ენის მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა და უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ნათელი გახდა ასევე, რომ კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

ქართული ენა და ლიტერატურა

კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე საგანი ,,მოქალაქეობა" სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

მოქალქეობის სგნის ფარგლებში 10 კლასში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები/სახელმძღვანელოდან/და მაგალითები შედარებისთვის მაგ: საგანი-მოქალაქეობა, თემა- მართლებრივი კულტურა, საკითხთა კლასტერი- სამართლიანი სასამართლოს უფლება , ცნებები-საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება, კონტექსტ მაგალითი - მარტინ ლუთერ კინგის ციტირებები, კომპლექსური დავალების იდეა - წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მოქალაქეობის მასწავლებელი და მეათეკლასელებს სამართლებრივ სახელმწიფოზე უნდა ესაუბროთ. თვალსაჩინოებისთვის მოამზადეთ ორი ცხრილი/სქემა, რომელშიც ასახული იქნება: 1. სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები და შესაბამისი ცხოვრებისეული მაგალითები. 2. არასამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები და შესაბამისი ცხოვრებისეული მაგალითები. მაგალითი შედარებისთვისთვის-ადოლფ ჰიტლერი.

ჩემი რჩევა იქნება გეოგრაფიისა და ისტორიის კურიკულუმები, მსგავსად მოქალაქეობის კურიკულუმისა, გაიწეროს სრულად /გაწერილია ნაწილობრივ/

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. მასში გაწერილია საგნის გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი -

კომპლექსური დავალება, ქვეცნებები, საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმებზე მუშაობა თანამშრომლობით გარემოში წარიმართა, მასწავლებლების მიერ მოხდა სავალდებულო თემების შერჩევა, ყველა თემაში დაფარულია საგნის სამიზნე ცნებები. ყოველივე აქიდან გამომდინარე გვაქვს საფუძველი, დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს.

ესთეტიკური აღზრდა;

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად მოსწავლეთა ინტერესის და მზაობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები რა აქტივობების ჩატარებას გეგმავენ წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, მაგრამ სკოლის დირექციამ გაითვალისწინა ექსპერტებთა რეკომენდაცია და გადაწყვიტა, უახლოს მომავალში გამოყოს ფართი და მოაწყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია/კაბინეტი.

მათემატიკა:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება იმით,რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ

სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით ,პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას.

უცხო ენა:

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, თუმცა კომპლექსური ბუნების მქონე დავალებება წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისური ენის მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. ამის მიუხედავად, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ორივე უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეარჩიონ სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. ასევე, გასაუბრებისას, მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე და გლობალური ფუნქციური უნარების -კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათისა და ნებელობის განვითარებაზე. მაგალითად, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე,(სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება).

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საშუალო საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის. საგანი ,,მოქალაქეობა“ კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, რესურსები ნაწილობრივ, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. მოქალაქეობის კურიკულუმში მოცემეულია კონტექსტ-მაგალითები სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას;

ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დადასტურდა სიღრმისეულად ეს მოცემულობა. დადასტურდა რომ მასწავლებლებმა იციან კურიკულუმის აგების პრინციპი, გამოიკვეთა რომ მომდევნო ეტაპის სამუშაოებზე იქნება კიდევ უფრო საინტერესო და სრულად წარმოდგენილი;

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილი სამიზნე ცნებებით-გრძელვადიანი მიზნებით, შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხებით, ასევე ყველა თემაში განსაზღვრული სამივე სამიზნე ცნების დამუშავებით, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებზე გასვლას, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ესთეტიკური აღზრდა

გლობალური ფუნქციური უნარების განვითარება, რომელიც გვეხმარება კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდაში, ჰოლისტური მიდგომა კი ეხმარება მოსწავლეს, თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, ხოლო მასწავლებლები, იყვნენ. ამ ცოდნის მხარდამჭერები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შედგენილი საგაკვეთილო გეგმები და კომპლექსური დავალებები ეხმარება პედაგოგებს სამიზნე ცნებების დაძლევასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამოიკითხება თანამიმდევრული სვლა შუალედური მიზნების გავლით გრძელვადიანი მიზნისკენ, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან შესაბამისობით. როგორც თავად ხელოვნების პედაგოგმა აღნიშნა ინტერვიუს დროს,ის გაითვალისწინებს ჩემს მოსაზრებებს და სექტემბრისთვის მცირედ ცვლილებებსაც შეიტას თავის სამუშაო გეგმაში,რათა კურიკულუმში უფრო ხაზგასმით წარმოჩინდეს ორგანული კავშირი სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს შორის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო;

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკაშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ დიფერენცირებულ მიდგომებზე, მოჰყავთ მაგალითები და აღნიშნავენ, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული სწავლება, გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. როგორც გაირკვა, სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, მათთვის სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული საგნისთვის, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლის პროცესი სასწავლო წლის განმავლობაში. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს მათთვის მომზადებული აქვთ გამარტივებული სასწავლო აქტივობები.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, რისი ასახვაც ხდება კომპლექსური დავალების პირობის პროცესში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

უცხო ენა

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები. მასწავლებლებმა ისაუბრეს ასევე, რომ კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა. მაგ., პოსტერი, პრეზენტაცია, ბუკლეტი და სხვა. მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები.

კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.
ასევე ინტერვიუს დროს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლები საუბრობდნენ კომპლესური დავალებებით მუშაობის დროს როგორ ახდენენ როგორც რესურსის , ისე კომპელქსურის პროდუქტის დიფერენცირებას მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის გათვალისწინებული იყო დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობდა მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს მსაჯობა, საორგნიზაციო საკითხები და სხვა. გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითა წარმოდგენილი და ითვალისწინებს ფესტივალს, პროექტის მომზადებას, ბუკლეტის დამზადებას, კონფერენციის მოწყობას, მოსწავლეებს მიცემს საშუალებას გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები სხვადსხვა კონტექსტში.

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო პროცესში მეტწილად გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები. ითოეული მოსწავლე აღქმულია, როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით.წლის დასაწყისშივე ხდება სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა კათედრების ურთიერთთანამშრომლობით.. საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მიმართულია გრძელვადიანი მიზნისკენ, მართვადია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, საკითხთა კლასტერის, სემესტრის, სასწავლო წლის დასასრულის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, რომელსაც მასწავლებლები ადგენენ თითოეული შესაფასებელი

აქტივობის შესაბამისად. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით აკონტროლებენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის და საჭიროებების დასადგენად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები აგროვებენ მოსწავლის შესახებ მონაცემებს, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება და თითოეულ მოსწავლეზე მორგება. ზეპირ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლები აკეთებენ თითქმის ყოველი აქტივობის შემდეგ, ხშირად აკეთებენ გაკვეთილის ბოლოს განმსაზღვრელ შეფასებას ყოველი მოსწავლისთვის. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასების მოდელი. სამწუხაროდ, მასწავლებლებმა ვერ წარმოგვიდგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მაგრამ მოგვახსენეს, რომ მომავალი წლის დასაწყისისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. პედაგოგმება აღნიშნეს, რომ ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს

მათემატიკა:

სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, მათემატიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე დოკუმენტებში წარმოდგენილი არ არის სანიმუშო რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა, კლასის თითოეული სავალდებულო თემის მიხედვით, სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონტექსტის გათვალისწინებით

უცხო ენა

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები, თუმცაღა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი. მათ აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.

ქართული ენა დალიტერატურა

კათედრამ წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს.

სპორტი:

წარმოდგენილი კათედრის ოქმიდან და მასწავლებლების გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე დგინდება, 1-4 კლასებში განმავითარებელ შეფასებას ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრის ბოლოსა და მე-6 კლასში, როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას ჩათვლის სახით. სასწავლო პროცესში ყოველთვის ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა ერთი თემიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება საგნის სამიზნე ცნებებზე - გრძელვადიან მიზნებზე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს საგნობრივ საკითხებთან მიმართებაში. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში დაიხვეწება და შემუშავდება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე.

ესთეტიკური აღზრდა:

მუსიკისა და ხელოვნების საგნის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმა მათთვის იყო შედეგების მიღწევის ტაქსონომია. ტაქსონომიით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, რაც იძლეოდა თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკაში დანახვის შესაძლებლობას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. (იგულისხმება მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან დაწყებული მეექვსე კლასის ბოლომდე) შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და

მეთოდიკურ ორიენტირებს.სამომავლოდ დაიგეგმა შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თითოეული თემის ფარგლებში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო:

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მცირე გამოცდილება, რადგან ეს სკოლა არ არის ახალი სკოლის მოდელში პირველ ეტაპზე ჩართული სკოლა (ჩართულია 2022-2023 სასწ. წლიდან), გაითვალისწინებენ წინა წელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გამოვლენილ ხარვეზებს, ჩაამატებენ მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამის აქტივობებს, მისცემენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ პრეზენტაცია. ეს გაზრდის მოსწავლეების ინტერესს, განიხილავენ კათედრაზე საკუთარ გამოცდილებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს უნარების წარმოჩენასა და განვითარებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნიან მომავალ კურიკულუმს.

მათემატიკა;

დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პედაგოგები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

უცხო ენა

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რომ აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცეს და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამავე დროს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება(ძირითადად ზეპირსიტყვიერად), ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

ქართული ენა და ლიტერატურა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ რომ სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აგროვებს ინფორმაციას კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით და ამთლიანებს მას კათედრის ანგარიშის ფორმაში. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის და სასკოლო სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ეყრდნობოდნენ წინარე გამოცდილებას, პრაქტიკული სწავლებისას აღიარებული იყო მეთოდი, ხერხი, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებელთა შერჩეული იყო ისეთი თემები, როლებმაც სპორტულ ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში წარმატება მოიტანა. ხოლო კურიკულუმების გადამუშავებისას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება ისეთი სპორტის სახეობების დამატება, რომლის განხორციელების პრაქტიკა სკოლას აქვს და რომელმაც წარმატება მოუტანა.

ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ეყრდნობოდნენ წინარე გამოცდილებას, პრაქტიკული სწავლებისას აღიარებული იყო მეთოდი, ხერხი, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებელთა შერჩეული იყო ისეთი თემები, როლებმაც სპორტულ ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში წარმატება მოიტანა. ხოლო კურიკულუმების გადამუშავებისას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება ისეთი სპორტის სახეობების დამატება, რომლის განხორციელების პრაქტიკა სკოლას აქვს და რომელმაც წარმატება მოუტანა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
4. თვითშეფასების კითხვარი
5. მასწავლებელთა ინტერვიუები
6. კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო:

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც ასევე იკვეთება ინტერვიუდან. კერძოდ, სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს მომავალში შესთავაზოს კომპლექსური დავალებები, ასევე პროექტული, ინტეგრირებული მიმართულების ტიპის დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

მათემატიკა

ვინაიდან, საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, რაც მისცემს მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით.

უცხო ენა:

წარმოდგენილ კურიკულუმებში მწირადაა წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ შუალედური მიზნები დაგეგმონ ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე მიმართებით, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მათ სიღრმისეულად ისაუბრეს, რომ ასეთი სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია იმაზე, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღმოჩნდა უმნიშვნელო ხასიათის ხარვეზი, რომლების გამოსასწორებლად ვიზიტის პერიოდში დროს მივეცი. ხარვეზი აღმოიფხვრა

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე საგან მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. მე-10 კლასში, საგან ისტორიაში განხორციელებული კომპლექსური დავალებაც, რომლის პირობა ავალებს მოსწავლეებს წარმოიდგინონ რომ, მონაწილეობენ დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში და შეისწავლიან ქვის ხანის საქართველო. ევალებათ, მოამზადონ დღიური, რომელშიც საკუთარი შთაბეჭდილებებისა და აღმოჩენების შესახებ დაწერენ. შეუძლიათ, დღიური ჩანახატებითა და ფოტოებით გააფორმონ. კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეები აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაციაა მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.

სპორტი:

სკოლის მიერ მოწოდებული სოციალური გვერდიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთათვის საყვარელ სპორტის

სახეობებში ფესტივალს, მოძრავ თამაშებს მოიაზრებს უფრო მეტად გააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და რაც მათ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობასაც გაზრდის.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, სწორედ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, მოსწავლეების ხელშეწყობა ხდება პედაგოგების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებითგზით, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებს მეცნიერული კუთხით დაანახონ და გააზრებინონ კონტექსტმაგალითში წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედონ მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით, რადგან მესამე თაობის ესგ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსურ დავალებებს მიიჩნევენ, რომლებიც განხორციელების გზების მოძიების საფუძველს წარმოადგენს.

მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ჯერჯერობით არ აქვთ გაწერილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ ფიქრობენ, რომ გაწერონ რამოდენიმე კომპლექსური დავალება, რადგან ამ ტიპის დავალების შესრულება გულისხმობს ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურებას.

უცხო ენა;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა, ინგლისური ენის მეათე კლასის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ იგი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა , რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, საბაზო საფეხურის კურიკულუმის

ჩარჩოში ასახული დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზეც კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური დავალებების ისეთი პირობები, რომ მიაწოდოს მას ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ქართული ენა და ლიტერატურა

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საშუალო საფეხურზე საგან მოქალაქეობა,გეოგრაფია და ისტორია საგნობრივ კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ.

სპორტი:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხორციელდებოდეს. არჩეული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული და მოსწავლის ცოდნის კუნსტრუირების შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო პროცესი მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპისკენაა მიმართული და მოსწავლეებს ეხმარება მიღებული ინფორმაციის ცოდნათ გარდაქმნაში.

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპით- ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. კომპლექსურ დავალებეამდე მისასვლელი აქტივობები ამ გზას სრულყოფილად

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, ცნობისმოყვარეობა და მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისდება

მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

მათემატიკა;

მათემატიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ, მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

უცხო ენა;

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

ქართული ენა დალიტერატურა;

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, კათედრის წევრები უზრუნველყოფს სწავლის სწავლას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასებაში ფიქსირდება ჩანაწერი და დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: სწავლის სწავლა ზესაგნობრივ კომპეტენციას ანუ მაკროცნებას წარმოადგენს, მისი გააზრება სხვადასხვა საგნობრივ სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში ხდება. სწავლის სწავლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას და მოსწავლის მიერ სტრატეგიების შერჩევას საკითხის შესასწავლად/დავალების შესასრულებლად. სწავლის სწავლის პროცესში დავალებებზე მუშაობის დროს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეტაპების გამიჯვნას. კერძოდ: სხვადასხვა ტიპის დავალებებზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ დავალების პირობას, მუშაობის ინსტრუქციას და აფასებენ დავალების ღირებულებას. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით სამივე საგანში.

სპორტი:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებიდან გამომდინარე სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლე რეფლექსიის საფუძველზე შეძლებს სწავლების სწავლის პოოცესი აქტიური გახადოს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე.

ესთეტიკური აღზრდა

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს. ითვალისწინებს ასევე მსწავლელთა ტიპებს რითაც ხელს უწყობენ მათ დამოუკიდებელ მსწავლელებად ჩამოყალიბებაში. წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა,თვითრეფლექსია,მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. კურიკულუმის სრულყოფის მიზნით კომპლექსური დავალებების პირობები შეიქმნება ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინებით.

მათემატიკა

საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კომპლექსური დავალების გამოყენებით, ასეთი დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნა გადაიზარდოს პირობისეულ ცოდნაში

უცხო ენა:

სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის მეათე კლასის კურიკულუმში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალება ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე

დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან.

საზოგადოებრივი მეცნეირებები;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან მე-10 კლასებში ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომელბიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. ცოდნის სამი კატეგორია ვლინდება სამივე საგნის ,,მოქალაქეობა“ ,,გეოგრაფია“ და ,,ისტორია“ კურიკულუმებში.

სპორტი

საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ფარგლებში განსახორციელებელი სპორტული ფესტივალი, პროექტული სწავლება, კონფერენციები ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. კურიკულუმებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ფარგლებში დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნა მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებისასს გადააქვთ პრაქტიკაში.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რაზეც მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შერჩეული დავალებები მოსწავლისთვის უცხო არ არის. ისინი ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე.

კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს არის ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნის წინაპირობა.

მათემატიკა

მათემატიკის მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თუმცა მცირე მცდელობების გარდა მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. აღნიშნეს, რომ დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთ დაკავშირება და გამოყენება.

უცხო ენა;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა, ინგლისური ენის მეათე კლასის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებას, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზონ მსგავსი ტიპის დავალებები, სადაც დავალება ორიენტირებაა პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ქართული ენა და ლიტერატურა:

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზეა ორიენტირებული. სამიზნე ცნებების ფარგლებში გაწერილი ქვეცნებების როგორიცაა მაგალითად უსაფრთხოება სპორტულ მოედანსა თუ დარბაზში, ინდივიდუალური უსაფრთხოების ზომები, თუ ძირითადი წესების ცოდნის გამოყენება და პრაქტიკაში გადატანა ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. სამიზნე ცნების - ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში დაგეგმილი ჯანსაღი კვებისა თუ ჰიგიენის საკითხების დამუშავება მოსწავლეებს საშუალებას მიცემს ცოდნის ორგანიზებასა და საგანთა შორის ურთიერთდაკავშირებაში.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
4. მასწავლებლებთან ინტერვიუები
5. კომპლექსური დავალებები,
6. სასწავლო აქტივობები,
7. პროექტები, ონისძიებები.
8. კათედრის სხდომის ოქმი(ანგარიში);
9. საინფორმაციო დაფა;
10. ვებ გვერდის ლინკი;

11. მშობლის ბარათი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება;**

წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოავლინეს ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლება აქცენტები გააკეთეს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მათემატიკა

საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში არ აქვთ გაწერილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ კურიკულუმების შექმნის პროცესში არიან და შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ , რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

უცხო ენა;

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მწირადაა წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, თუმცა გამოკვეთილია , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სასწავლო შედეგებზე/ სამიზნე ცნებებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

ქართული ენა და ლიტერატურა

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

საზოგადებრივი მეცნიერებები

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებშიმკაფიოდ არის გაზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი მაგალითად საგან „მოქალაქეობაში“ , მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზიდან იკითხება, რომ რომ მომავალი წლიდან სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თუ სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე შერჩეული თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. შემუშავებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ამ ეტაპზე იდეის სახითაა წარმოდგენილი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასას და გათავისებას

ესთეტიკური აღზრდა:

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.ამას ადასტურებს ჩემს მიერ გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები.გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის.სამომავლოდ იგეგმება კომპლექსური დავალების რეფლექსიის ფორმის დახვეწა,რაც მისასალმებელია.თუმცა აქვე ვიტყვი,რომ ნიმუშებად წარმოდგენილია თითო თემა და ატივობები ამთემის ფარგლებში.სექტემბრისთვის იგეგმება ყველა თემის გაწერა

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმებში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მათემატიკა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საშუალო საფეხურის მათემატიკის მიმართულებით არ აქვთ შერჩეულია კომპლექსური დავალებები, ინტერვიუს დროს კი პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, ამიტომ შეარჩევენ და კურიკულუმებში შეიტანენ საინტერესო დავალებებს, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; რაც ასევე დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარშიც.

უცხო ენა

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები მწირადაა შერჩეული, თუმცა საბაზო საფეხურზე კათედრას მრავალფეროვნად აქვს წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას შეუძლია საშუალო საფეხურზეც შესთავაზოს მოსწავლეებს იგივე ტიპის დავალებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მხრიდან დაფიქსირდა მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები, დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა; ამასთან, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“).

ქართული ენა და ლიტერატურა

კერძოდ, კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის აკადემიურ, პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ჩემი რჩევა იქნება დაიგეგმოს და განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი პროექტები და აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანების პოზიციის გაცნობიერებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას, თანაგრძნობის გამოხატვას, საკუთარი ემოციების ამოცნობას და მართვას, ღირებულებებზე დაფიქრებას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, პოზიტიურ კომუნიკაციას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი, რომელიც მომავალი წლიდან იგეგმება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იქნება მორგებული. ყველა თემაში გაწერილი სამიზნე ცნების ორგანიზებულობა და თვითკონტროლის ფარგლებში გაწერილი ქვეცნებები, საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი, გუნდური უნარების ჩამოყალიბებას, სტრესული და კონფლიქტურ სიტუაციების გამკლავებასა და ემოციების მართვაში

ესთეტიკური აღზრდა;

პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებაში.განსაკუთრებით გამოვყოფდი ხელოვნებასა და მუსიკაში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებს მეექვსე კლასებსში,რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება..საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

გასაუბრებისას მასწავლებლებმა ბრძანეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხერხდეს მოსწავლის პიროვნული განვითარება. ამიტომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, მოსწავლის ყოველდღიურობასთან განუყოფლად. შეფასებისას ცდილობენ გამოავლინონ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცენ მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებენ წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. სამწუხაროდ, მასწავლებლებმა ვერ წარმოადგინეს შეფასების

რუბრიკები, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეების შეფასებისას იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობენ შესაბამისი საგნობრივი სტანდარტით. გამიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც აღნიშნეს, ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

მათემატიკა;

საშუალო საფეხურის მათემატიკის მასალებში წარმოდგენილი არ არის განმავითარებელი შეფასებისთვის რუბრიკის ნიმუში. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით სთავაზობენ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნული ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს - ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. რჩევის სახით მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით

უცხო ენა:

საშუალო საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროცესი, სადაც შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. ასევე, ნათლად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ქართული ენა და ლიტერატურა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას.

სპორტი:

მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება მარტო სწავლის შედეგებს კი არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ იმასა თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი და რომ ის მოსწავლის წინსვლზე უნდა იყოს ორიენტირებული. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე იქნება მიმართული

ესთეტიკური აღზრდა;

მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას კათედრაზე გამოყენებულია განმავითარებელ შეფასება სტანდარტის შედეგებზე და შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები. მათ არ აქვთ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, თუმცა პირადი საუბრისას გაირკვა, რომ ისინი ამჟამად მუშაობენ ამ რუბრიკების შექმნაზე, სადაც ასახული იქნება, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება, იციან, როგორ უნდა შეარჩიონ შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

მათემატიკა

სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნავენ ,რომ პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სწორედ ამიტომ , როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, შეფასების რუბრიკების შექმნაში ჩართავენ მოსწავლეებსაც და იგი წინასწარ იქნება ცნობილი მოსწავლეებისთვის.

უცხო ენა :

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ რომ მოსწავლეები ჩართონ შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით კი, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ,გეგმავენ რომ მოსწავლეებმა შეაფასონ ერთმანეთი და იმსჯელონ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ქართული ენა და ლიტერატურა

კათედრა შეფასების სისტემას სასწავლო პროცესში გამოყენებს და იზრუნებს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

საშუალო საფეხურის მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვრწმუნდებით, რომ უმეტესად შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელდება მიზანზე ორინტირებით. შეიძლება ითქვას, რომ შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ ვაფასებთ სწორედ იმას, რისი შეფასებაც გვაქვს გაზრახული, რამდენად მიზნობრივად ვაფასებათ ამა თუ იმ მოცემულ შედეგს. შეფასება არის გამჭირვალე, რადგან მოსწავლეებმა ზუსტად იციან თუ როგორ ფასდება მათი შრომა. მოსწავლეებმა იციან თუ რატომ არის მათი ცოდნა ღირებული და რა როლს ასრულებს ეს სედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. შეფასება არის სანდო, რადგან ჩვენი შეფასება კონსისტენტური და მდგრადია, რადგან თითოეული ნიშანი/ქულა რეალისტური საზომია.

სპორტი:

კათედრასთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა მხრიდან სასწავლო პროცესში სიტყვიერი განმავითარებელი შეფასებას გამოიყენებდნენ, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება ჩათვლების სახით . ამ ეტაპზე სკოლამ სტანდარტზე დაყრდნობით წარმოადინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ერთი კონკრეტულ თემაზე კერძოდ მძლეოსნობაზეა მორგებული და განმარტებულია რომელ სამიზნე ცნებებზე როგორ მოხდება მოსწავლის შეფასება. კათედრიდან იკვეთება მზაობა შემუშავდეს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ესგ სტანდარტებთან და რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს აკონტროლოს სწავლის პროცესი რის მიხედვით და როგორ შეფასდება.

ესთეტიკური აღზრდა:

როგორც დოკუმენტიდან ჩანს დირექციის და პედაგოგთა ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაშიც მათ ეხმარება მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისსათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული ,ადვილად გასაგები და მისაწვდომია.მათ ზუსტად იციან,როგორ ფასდებიან,და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. იგეგმება სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების უფრო დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრის წარმომადგენლებს აქვთ ჩვენს მიერ ზოგადი რუბრიკები,რომელსაც მოარგებენ კონკრეტულ საკითხებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. საბუნებისმეტყველო:

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, საბაზო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგები ორივე სემესტრის ბოლოს ატარებენ შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებენ ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია , რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, რომელიც არის მოსწავლის მიღწევების ანალიზი, პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს, მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის შემაჯამებელი სამუშაოები და მათი ანალიზი ნათლად ასახავს თითოეული კლასის ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოკვეთს იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელია შედეგების გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც.

უცხო ენა;

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ქართული ენა და ლიტერატურა

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საზოგადიებრივი მეცნიერებები;

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის განვითარების და მხარდაჭერი მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. ასევე კათედრის დონეზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების და შეფასების განხილვა და ანალიზი.

სპორტი

დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერაზე, ხოლო შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაზეა ორიენტირებული. სკოლას ნაწილობრივ აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი.

ესთეტიკური აღზრდა;

კათედრაზე ხდება გამოყენებული შეფასების სისტემის რეფლექსია და ანალიზი, დაფუძნებული კონკრეტულ შედეგებზე. ვიმედოვნებ არჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი პედაგოგებს საკმაოდ დაეხმარება.ვერიფიკაცია გვაწვდის ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლას დრო და რესურსები სჭირდებათ, ამიტომ მომავალში ამ მხრივ დაიგეგმება მუშაობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. საბუნებისმეტყველო

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტების წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შენახულია და სათანადოდ აღრიცხულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები არანაკლებ 3 წლის ვადით.

მათემატიკა:

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. რაც დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც.

უცხო ენა:

.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხელმისაწვდომია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. სკოლა არსებული წესის თანახმად აწარმოებს და ინახავს დოკუმენტებს

სპორტი:

სკოლის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის დოკუმენტი წარმოდგენილია;

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, შემაჯამებელი(მეხუთე,მეექვსე კლასები) დავალებები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები,როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
3. *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
4. *მასწავლებლებთან ინტერვიუები*
5. *შეფასების რუბრიკები*
6. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
7. შეფასების რუბრიკები.
8. მეთორმეტე რესურსი-
9. ოქმი,

10. რეფლექსიები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო**

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია დადგინდეს, რომ სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კლიმატით მაღალი მიმღებლობით, თანამშრომლობით. ითვალისწინებენ მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების იდეებს, მიესალმებიან მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

მათემატიკა:

.თვითშეფასების კითხვარში გაწერილი აქვთ თუ როგორ შეიძლება შექმნან სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; რაც ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

უცხო ენა:

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში.

ქართული ენა და ლიტერატურა

.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, (მათ შორის სსსმმ საჭიროებების შესაბამისი) კათედრები ურთიერთთანამსრომლობენ ერთმანეთთან და სხვა...

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო. სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება თანამშრომლურ გარემოში. გამოცდილების გაზიარება, ახალი გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, სკოლის სასწავლო გეგმის, თუ მისისისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს.

ესთეტიკური აღზრდა:

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.დაწყებით საფეხურზე პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.ნიშანდობლივია,რომ ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება,როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღები გადაწყვეტილება,გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით.გასაუბრებისას დაასახელეს ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ერთობლივი პროექტი,მუსიკის და ფერწერის სინთეზურ ბუნებასთან დაკავშირებით.ასევე აღინიშნა მათი მჭიდრო თანამშრომლობა მომიჯნავე საგნების პედაგოგებთან

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლებლები ერთობლივად თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ქმნიან ეფექტურ გარემოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებისთვის.

მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად; რას გულისხმობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულობა და რა ხერხებით უნდა მიაღწიონ ამას , კარგად აქვთ აღწერილი სკოლის თვითშეფასების კითხვარში.

უცხო ენა:

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე.

ქართული ენა და ლიტერატურა

.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე

საზოგადოებრივი მეცნიერებები

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რომელიც მიმართულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე

სპორტი:

სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერსების გათვალისწინებით, მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შეთავაზება, თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე გაწერილი სასწავლო აქტივობები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასევე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ესთეტიკური აღზრდა;

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შექმნაზე. მასწავლებელი უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს, მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წარმოდგენილია კათედრების, სამუშო შეხვედრების, დამრიგებლების ოქმები.

მათემატიკა

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამრომლობა და გუნდურობა არის ის მნიშვნელოვანი პლატფორმა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას სასწავლო პროცესში. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების კითხვარშიც.

უცხო ენა;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს.

ქართული ენა და ლიტერატურა

.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ

კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა.

სპორტი;

მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრებზე წევრთა შორის მუდმივად ხდება თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება , წარმატებების განსაზღვრა, პრობლემის იდენდიფიცირება და მისი გადაჭრის ერთობლივი გზების ძიება.

ესთეტიკური აღზრდა:

ესთეტიკის კათედრაზე დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ,ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის თავალთახედვა მიღებული და გაზიარებულია.მცირე კონტინგენტიანი სკოლა ამის საშუალებას უფრო ეფექტურად იძლევა.ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება დ ა ერთობლივი განხილვა-რეფლექსია

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს იკვეთება სკოლისმიერ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ასევე თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები იძლევა საშუალება ს ვტქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მათემატიკა

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

უცხო ენა;

.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ქართული ენა

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. არსებობს თანამშრომლობითი კულტურა, წახალისებულია პროექტები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მორალური ფასეულობების დამკვიდრებას.

სპორტი;

თანამშრომლობითი კავშირები, სასკოლო გარემოში აღიარება, პატივისცემა, ნდობა, ზრუნვა სკოლის განვითარებაზე პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლის ინტერვიურების შედეგებიდან სწავლა სწავლების ხარისხზე ზრუნვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, პროექტებში, სასკოლო ოლიმპიადებსა თუ სპორტულ აქტივობებში დაჯილდოება/წახალისება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას სკოლისა და კლასის დონეზე.

ესთეტიკური აღზრდა;

არსებობს სასკოლო კლიმატის 5 განზომილებიანი მოდელი: უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციური გარემო, როგორც ავთენტურ სივრცეს სასკოლო საზოგადოებისათვის,რაც მეტყველებს იმაზე,თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოზიტიურ კლიმატს მოსწავლი ფსიქო- ემოციურ განვითარებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმი
2. *თვითშეფასების კითხვარი*
3. *მასწავლებელთა ინტერვიუები*
4, შეფასების კრიტერიუმები;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. სკოლის შინაგანაწესი;
7. კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი::

1. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა:

ვინაიდან ამჯერად იმყოფებიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნის შემდეგ შეიმუშავებენ მონიტორინგის მეთოდოლოგიას გარკვეული ნაბიჯების გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება, ასევე სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

სპორტი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია

ესთეტიკური აღზრდა;

სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შემუშავებისას განვსაზღვრულია მონიტორინგის მეთოდები და და შეფასების კრიტერიუმეის. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას(უფროსს მათ შორის კომპლექსურების განხორციელებისას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარით და მასწავლებელთა ინტერვიუებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.

სპორტი:

სკოლა ზრუნავს, რომ მონიტორინგი და შეფასება მასწავლებლის კონტროლს კი არა, არამედ მხარდაჭერას ემსახურებოდეს. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მოიცავს მიღწევების ანალიზს და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავს სასწავლო პროცესს.

ესთეტიკური აღზრდა

დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ იყენებენ ზეპირ, წერილობით და სწრაფ (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები) განმავითარებელ შეფასებას,მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებიემეტყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გადწყვეტენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

მათემატიკა

.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით

საზოგადოებრივი მეცნეირებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

სპორტი:

სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, წლიური მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. მონიტორინგის ანალიზის საფუძველზე აძლევს სკოლას საშუალებას შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ესთეტიკური აღზრდა;

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით ჩანს მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ.თუმცა ჩამოაყალიბებული მონიტორინგისა და შეფასების გარკვეულ სისტემის სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია და სამომავლოდ აქვს დაგეგმილი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმი
2. სკოლის თვითშეფასების კითხვარი
3. ინტერვიუები
4. კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
5. სასწავლო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებიემტეყველო

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებული არიან მოსწავლის განვითარებაზე. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამრავალფეროვნებას გეგმავს მასწავლებელი.

მათემატიკა

.მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას პედაგოგები ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს, საიდანაც შეიძლება მიიღონ ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების , მისი საჭიროებების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით.(მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..)

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

ესთეტიკური აღზრდა:

შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე....შეფასების რუბრიკა გარდა ესთეტიკის კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმავითარებელი და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.

მათემატიკა:

.თვითშეფასების კითხვარიდან ვიგებთ, რომ შეფასების ეფექტიანად განსახორციელელად უნდა მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინება; შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

შეფასება ხორციელდეა მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

სპორტი:

მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ კვლევა და შეფასება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენას და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას ემსახურება. კათედრის წევრები საუბრობენ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინების შესახებ.

ესთეტიკური აღზრდა

ზემოთაღნიშნული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.,თუმცან სასურველია ამას კონკრეტული მტკიცებულებები მოჰყვებოდეს

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბუნებისმეტყველო

ინტერვიურებისას წარმოჩინდა, რომ წსასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთიდებიდა და მონაცემებზე დაყრდნობით.

მათემატიკა:

.შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვან მეთოდებზე, სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმრივი მიდგომით. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.შეფასებისას ძირითადად გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები: დირექციის, ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფის და მასწავლებლის უკუკავშირი.

სპორტი:

სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, გეგმავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებთ, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები

მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. მეთოდები

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. საბუნებიემეტყველო

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას ასევე გავალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი

მათემატიკა;

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. დასტურდება თვითშეფასების კითხვარით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

სპორტი:

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ძირითადად დამყარებულია ერთ ინსტრუმეტზე. აუცილებელია დიფერნცირებული მიდგომა, რადგან მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, ამისთვის კი უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტურმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

ესთეტიკური აღზრდა:

დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტივობა არა დაკვირვებადია არა მარტო სასკოლო სივრცეში,არამედ სკოლის მიღმაც,რათა სრული წარმოდგენა შეიექმნეს მათ პიროვნულ მახასითებლებზე მოქმედ გარეგან ფაქტორებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საგნობრივი კურიკულუმი
2. ინტერვიუს მონაცემები
3. თვითშეფასების დოკუმენტი
4. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
5. შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

i. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თნამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებელმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია.

მათემატიკა:

.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში ინიშნავენ მნიშვნელოვან განხორციელებულ აქტივობებს, რამაც თემაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა დაინტერესება და შედეგების გაუმჯობესება გამოიწვია. ქმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს; რაც დასტურდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემთა შეგროვება, რათა შემდგომ მოხდეს მისი დამუშავება და შედეგების გათვალისწინება

სპორტი:

დაწესებულება ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითრებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნისას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინონ წინა წლების გამოცდილება, სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზიარება.

ესთეტიკური აღზრდა:

შეიმუშავებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ერთი საგნის მაგალითზე. სასწავლო პროცესში გაგრძელდება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება.გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს,რაც ეხმარება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს წარმოქმნილი ტიპური პრობლემების გამოკვეთასა და ანალიზში

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საბუნებისმეტყველო

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საშუალებას მისცემს სკოლას წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შეადგინოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

მათემატიკა:

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში იყენებენ წინა წლის გამოცდილებას, ახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, ასევე მუშაობის პროცესში აღმოჩენილი მიგნებების ასახვას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში, რაც დასტურდება თვითშეფასების კითხვარითაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;

.საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის მიმდინარეობის დროს ხდება კურიკულუმის რევიზია და მიღებული შედეგების ანალიზს ისინი ითვალისწინებენ ახალ კურიკულუმზე მუშაობის დროს. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი.

სპორტი:

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ ამ მიმართულებით პროცესების გაუმჯობესებას, ერთმანეთთან თანამშრომლობას, შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას.

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისა. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმები

2. თვითშეფასების კითხვარი

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ლევან მადათოვი

ეკა ბარნაბიშვილი

ავტორიზაციის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნანა ღაჭავა

ხათუნა წიკლაური

მაია ქევხიშვილი

ნინო მარღიშვილი

ეკა სიმსივე

ნინელი ცერცვაძე

როლანდ ხოჯანაშვილი

მანანა როსტომაშვილი

ლია ნეფარიძე

27.10.2023
თარიღი